ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა - გიმნაზიის
2024-2025 სასწავლო წლის
კურიკულუმი
(სასწავლო გეგმა)

2024

სარჩევი

შესავალი 6

სტატუსი 7

მისია 7

ხედვა 8

ღირებულებები 8

I. **სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზება** 10

1. **სასწავლო პროცესი** 10
2. **სასწავლო პროგრამები** 11
3. **საორგანიზაციო კულტურა** 11

პრიორიტეტული მიმართულებები 12

პრიორიტეტული თემა და მისი მნიშვნელობა 12

❖ **სწავლა-სწავლების პროცესი** 13

ფორმალური განათლება (ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები)..... 13

❖ **საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება**..... 14

სასწავლო წლის კალენდარი 14

სამუშაო და დასვენების დღეები 15

სწავლის დასრულება 15

დღის რეჟიმი 16

მოსწავლეთა რაოდენობა 16

❖ **დისტანციური სწავლება**..... 16

დისტანციური სწავლების მოდელები 16

დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელზე გადასვლის წინაპირობები 17

დასწრებითი სწავლების განახლება 17

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება 18

დისტანციურ სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო რესურსები 19

მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა 19

დისტანციური სწავლების შეფასება 19

დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგი 20

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები
დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად 20

დისტანციური სასწავლო პროცესის თანაბარი ხელმისაწვდომობა 20

გიმნაზიის ადმინისტრაციული პერსონალის ვალდებულებები დისტანციური
სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის 20

❖ **კლასის ხელმძღვანელთა პროგრამა** 21

კლასის ხელმძღვანელის მუშაობის პრინციპი 22

❖ **საგნობრივი კათედრები** 23

❖ **ინკლუზიური განათლება** 26

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე 26

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 27

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება, გაცდენები 29

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება …… 29
II. ზოგადი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები საფეხურების მიხედვით …… 30
1)ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.. 30
✓ სასკოლო საათობრივი ბადე …… 30
✓ საგანმანათლებლო რესურსები …… 32
გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით - დაწყებითი საფეხური …… 33
✓ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება …… 36
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა …… 36
ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა …… 37
✓ შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე …… 38
მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები …… 38
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება …… 38
აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა …… 39
შეფასება დაწყებით საფეხურზე …… 39
მოსწავლის შეფასების კომპონენტები …… 40
შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი …… 42
განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები …… 43
ქულების გამოანგარიშების წესი …… 43
კლასისა და საფეხურის დაძლევა …… 43
გამოცდების ტიპები …… 44
➢ სემესტრული გამოცდა …… 43
➢ საშემოდგომო გამოცდა …… 44
➢ ექსტერნატის გამოცდა …… 45
მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება …… 45
გაცდენები …… 45
შინ სწავლება …… 45
2) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა …. 45
✓ საათობრივი ბადე …… 46
✓ საგანმანათლებლო რესურსები …… 47
საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა …… 47
გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით - საბაზო საფეხური …… 48
✓ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება …… 50
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურება …… 50
ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება …… 50

✓ **შეფასების სისტემა** 51
მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები 51
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში 51
აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა 52
შეფასება საბაზო საფეხურზე 53
მოსწავლის შეფასების კომპონენტები 53
შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი 54
განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები 55
ქულის გამოანგარიშების წესი 55
კლასისა და საფეხურის დაძლევა 56
გამოცდის ტიპები 56
➢ სემესტრული გამოცდა 56
➢ საშემოდგომო გამოცდა 57
➢ ექსტერნატის გამოცდა 57
მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება 57
გაცდენები 57
შინ სწავლება 57
3) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა 58
✓ **საათობრივი ბადე** 58
✓ **საგანმანათლებლო რესურსები** 60
საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა 60
გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით - საშუალო საფეხური 60
➢ **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება** 62
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება 62
ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება 63
➢ **შეფასების სისტემა** 63
მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები 63
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში 64
აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა 65
შეფასება საშუალო საფეხურზე 65
მოსწავლის შეფასების კომპონენტები 66
შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი 67
განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები 68
ქულის გამოანგარიშების წესი 68
კლასისა და საფეხურის დაძლევა 69
გამოცდის ტიპები 69
✓ სემესტრული გამოცდა 69
✓ საშემოდგომო გამოცდა 70

✓ ექსტერნატის გამოცდა 70
მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება 70
გაცდენები 70
შინ სწავლება 71
III. არაფორმალური განათლება 71

შესავალი

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმი (სასწავლო გეგმა) არის დოკუმენტი, რომელიც სკოლა-გიმნაზიის ,,სავიზიტო ბარათს" წარმოადგენს. მასში ასახულია ინფორმაცია, როგორც სკოლა-გიმნაზიის მისიასა და მიზნებთან, ისე სასწავლო პროცესსა და სკოლა-გიმნაზიის საორგანიზაციო კულტურასთან დაკავშირებით.

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: ზოგად ორიენტირებს სწავლა-სწავლების მიზნებთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით. ამ მიზნების დაკონკრეტება კი სასკოლო კურიკულუმის დონეზე ხდება. სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმა წარმოადგენს პასუხს კითხვაზე - რა უნდა შეეძლოს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რა ღირებულებებით უნდა აღიზარდოს მოსწავლე, გიმნაზიის კურიკულუმი კი აჩვენებს გზას, რომელსაც გიმნაზია საკუთარ მოსწავლეებს ამ მიზნების მისაღწევად სთავაზობს.

სკოლა-გიმნაზის სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლა-გიმნაზიის მისიას. მისი შემუშავების პროცესში მონაწილეობენ: საგნობრივი კათედრები, სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმას განიხილავს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმა გამომდინარეობს ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიიდან. მასში მოცემულია მექანიზმები და სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ მისიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ,,ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს" და ასახავს ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის ხედვასა და ღირებულებებს, რომლითაც სკოლა-გიმნაზია ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმა აღწერს სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს:

ა) სკოლა-გიმნაზიის ფილოსოფიას და კურიკულუმებს საფეხურების მიხედვით (მათ შორის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას - მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილ სასწავლო გეგმას);

ბ) სკოლა-გიმნაზიის განვითარების ხელშემწყობ პროცესებს: სტრატეგიული გეგმის განვითარებას, კურიკულუმის განვითარებას, პერსონალის მართვასა და განვითარებას, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას, მატერიალურ რესურსებსა და ინფრატრუქტურას, საინფორმაციო რესურსებს, ფინანსურ რესურსებს, მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემებს.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმა განსაზღვრავს:

ა) სწავლა-სწავლების მისიას, მიზნებსა და შინაარსობრივ პრიორიტეტებს განათლების სამივე საფეხურზე;

ბ) სწავლა-სწავლებისა და შეფასების პრინციპებს;

გ) სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს.

სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმისთვის აუცილებელი მახასიათებელია განვითარებაზე ორიენტირებულობა. მნიშვნელოვანია, სასწავლებელმა იკვლიოს საკუთარი მიღწევები,

პრობლემები, რისკები და ამის საფუძველზე ცვლილებები შეიტანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. კურიკულუმის განვითარება მუდმივმოქმედ პროცესს წარმოადგენს.

საგიმნაზიო კურიკულუმის შექმნისას მნიშვნელოვანია არა მარტო ხარისხი, არამედ მისი შემუშავების პროცესიც. მის განვითარებაში მაქსიმალურად ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი: მშობლები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია, პარტნიორი ორგანიზაციები. სკოლა-გიმნაზიის სასწავლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს ერთგვარ კონტრაქტს დირექციას, პედაგოგებსა და მშობლებს შორის. რაც უფრო მაღალია შეთანხმებულობის ხარისხი, მით უფრო მდგრადი და თანამიმდევრულია პროცესები, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე.

სტატუსი

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია, არის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ავტორიზებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას სამ საფეხურზე: დაწყებით - I-VI კლასები, საბაზო - VII-IX კლასები და საშუალო - X-XII კლასები. ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

მისია

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიაა სწავლისათვის კეთილგანწყობილი, დადებითი გარემოს შექმნა, რათა აღზარდოს ზნეობრივად, სულიერად, ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე, გულისხმიერი და შემწყნარებელი მართლმადიდებელი ქრისტიანი ახალგაზრდა, რომელიც თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს მოახმარს პირად და ეროვნულ მიზნებს. ამისათვის:

- **დაწყებით საფეხურზე სკოლა-გიმნაზიამ უნდა უზრუნველყოს:**
  ა) მოსწავლის გონებრივი, სულიერი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
  ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
  გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.
- **საბაზო საფეხურზე სკოლა-გიმნაზიამ უნდა უზრუნველყოს:**
  ა) საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება;
  ბ) მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა და მხარდაჭერა, დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური, გულისხმიერი და შემწყნარებელი მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.
- **საშუალო საფეხურზე სკოლა-გიმნაზიამ უნდა უზრუნველყოს:**
  ა) საგანთა სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
  ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინტელექტუალურად განვითარებული, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება,

საკუთარი მიღწევების, ცოდნისა და შესაძლებლობების გამოყენება პირადი და ეროვნული მიზნებისათვის.

ხედვა

სასკოლო განათლება მოზარდს

- ჩამოუყალიბებს ქრისტიანულ ცნობიერებას;
- ასწავლის ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემასა და სამშობლოს სიყვარულს;
- განუვითარებს უნარ-ჩვევებს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვისათვის;
- არაფორმალური მუშაობის გაძლიერების გზით დაეხმარება გაეცნოს და ეზიაროს ქრისტიანული ქვეყნების ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.

ღირებულებები

- ქრისტიანიული ცნობიერება;
- განათლებული თაობა;
- სასწავლო გარემოს თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- განვითარებაზე ორიენტირება;
- მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;
- ეროვნული თვითშეგნება.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია მემკვიდრეა იმ სასწავლებლისა, რომელიც გორში 1817 წელს გაიხსნა. გორის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება 1817 წლის ოქტომბერში დაიწყო, ოფიციალური გახსნის ცერემონიალი კი 1818 წლის 16 მაისს გაიმართა. 1888 წელს სასწავლებელი ახლადაშენებულ ორსართულიან შენობაში გადავიდა, 1889 წლის 24 სექტემბერს (ძვ. სტ. 7 ოქტომბერს) კი მასში განთავსებული ტაძარი ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელზე იკურთხა.

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. გიორგი მთაწმინდელი 1009 წელს დაიბადა. 1040 წელს მოძღვრის, გიორგი დაყუდებულის ლოცვა-კურთხევით გაემგზავრა ათონს, რათა, ივერთა მონასტერში მოღვაწეობით, ღვთივ ბოძებული ტალანტი ღვთივსულიერთა წიგნთა თარგმნისათვის მოეხმარებინა. მან სპეციალური საღმრთო წიგნების თარგმნას მიჰყო ხელი. ღირს მამას დიდი ღვაწლი მიუძღვის მთარგმნელობით მოღვაწეობაში. თარგმნიდა დღე და ღამ, ყველგან, სადაც კი უხდებოდა ყოფნა. თავისი დაუღალავი შრომით ყველა გააკვირვა, არა მარტო ქართველნი, არამედ ბერძენნი და ასურნი. ბერძნები არ ისვენებდნენ და განუწყვეტლივ ავიწროებდნენ ქართველ ღვთისმსახურებს, ამასთან ეჭქვეშ დააყენეს ქართული ეკლესიის ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური მრწამსი. საქართველო მარად მადიდებელი უნდა იყოს გიორგი მთაწმინდელისა, რამეთუ მან ქართული ეკლესია ბერძენთა მიმტაცებლობისგან იხსნა. ბაგრატ მეფეს ბევრი სმენოდა დიდი სულიერების მქონე მოღვაწეზე, ამიტომ დაჟინებით სთხოვდა სამშობლოში დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ღირსი მამა ერიდებოდა კაცთაგან დიდებას, ბოლოს მაინც დაჰყვა მეფის თხოვნას და წამოვიდა გიორგი მთაწმინდელი სამშობლოში რამდენიმე მოწაფის თანხლებით. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობამ თანდათან ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. მან დაარღვია ქართული ეკლესიის წოდებრიობა და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოსწია. იმ დროისთვის ეს დიდი გამბედაობა იყო. დადიოდა მამა გიორგი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, სამწყსოდან სამწყსოში და ასწავლიდა ყველგან და ყველას - დიდსა და მცირეს, დიდგვაროვანს და გლახაკს, აზნაურსა

და უაზნოს, ერსა და ბერს. ასწავლიდა, ზრდიდა, მოძღვრავდა, კურნავდა, რადგან ჰქონდა სულთა კურნების მადლი, და იყო შუამდგომელი ღმერთსა და კაცს შორის. საქართველოში დაბრუნებიდან ხუთი წლის შემდეგ, წმინდა მამა მეფის ასულ მართასთან და 80 ობოლ ყრმასთან ერთად გაემგზავრა კონსტანტინოპოლში ბიზანტიის კეისარ-იმპერატორის სასახლეში. კონსტანტინოპოლის სასახლე ზეიმით შეხვდა საქართველოდან ჩასულებს. კეისარმა სამჯერ მიიწვია გიორგი თავისთან და აღუთქვა ყველა სათხოვარის ასრულება. წმიდა მამამ კი მხოლოდ თავისი 80 ობოლი შეავედრა ჯერ ღმერთს და მერე კეისარს. სთხოვა, გაეზარდა და შეეწყალებინა. კეისარმაც დიდი სიხარულით მიიღო ყრმანი და შეუსრულა ეს თხოვნა. 1065 წლის 27 ივნისს აღესრულა გიორგი მთაწმინდელი შობიდან 56 წლისა. ოთხმოცმა ობოლმა მისი ცხედარი ათონის მთაზე გადაასვენა და დიდი პატივით დაკრძალა.

XXI საუკუნის დასაწყისში, გორში, ისტორიულ სამეფო ქუჩაზე განთავსებული გორის სასულიერო სასწავლებლის ყოფილი შენობა ეკლესიას დაუბრუნდა. შენობამ მალევე დაიბრუნა თავდაპირველი დანიშნულება – საგანმანათლებლო ფუნქცია. სამთავისისა და გორის ეპარქიის ეპისკოპოს ანდრიას (გვაზავა) კურთხევით, 2005 წელს მომზადდა შენობის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ხორცშესხმა შესაძლებელი გახდა კერძო შეწირულობით.

2006 წელს განახლებულ შენობაში დაფუძნდა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გიმნაზია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან დაწყებით საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგ, 30 ოქტომბერს, სასწავლებელში დაირეკა პირველი ზარი, 31 ოქტომბერს კი გიმნაზიის ტაძარი ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელზე იკურთხა. ახლადკურთხეულ ტაძარში სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ დეკანოზ იოანესთან და ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად პირველი წირვა აღავლინა. იმავე წელს, 16 ნოემბერს გიმნაზიას ესტუმრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც საზეიმო პარაკლისი გადაიხადა და დალოცა გიმნაზია, მისი აღმშენებლები, მოსწავლეები, მასწავლებლები და მრევლი.

2006 წელს გიმნაზიაში 83-მა მოსწავლემ დაიწყო სწავლა დაწყებითი საფეხურის პირველ 5 კლასში. გიმნაზიის დირექტორის, სამთავისისა და გორის ეპისკოპოს ანდრიას კურთხევით გიმნაზიის მოძღვრად დაინიშნა დეკანოზი იოანე (ცხვირაშვილი), მოსწავლეთა სწავლების პროცესში 23 მასწავლებელი, ადმინისტრაციის 4 წარმომადგენელი და 10 თანამშრომელი ჩაერთო. 2007 წელს გიმნაზიამ მიიღო საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.

2010 წლიდან გიმნაზიამ სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა – დაფუძნდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ამავე წლის ივლისში ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასცა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია. 2010-2011 სასწავლო წელს საკლასო მერხს პირველი-მეცხრე კლასის 271 მოსწავლე მიუჯდა.

2015 წელს ავტორიზაციის პროცესის წარმატებით გავლის შემდეგ ახალ სასწავლო წელს 470-მდე მოსწავლე მიუჯდა მერხს. აღსაზრდელები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად სწავლობენ: ძველ ქართულ ენას, საღვთო სჯულს, ქრისტიანული კულტურის ისტორიას, ქართულ ხალხურ სიმღერებს და საეკლესიო საგალობლებს, ქართულ ცეკვებს; შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ ფერწერას; ამავე დროს, შეისწავლონ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები და მათი გამოყენების მეთოდები.

2020 წელს გიმნაზიამ წარმატებით გაიარა მორიგი საავტორიზაციო პროცესი. დადგინდა გიმნაზიაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა - 600 მოსწავლე.

2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში სწავლა-გიმნაზიაში ირიცხება 560 მოსწავლე, რომელთა განათლებასა და აღზრდას გიმნაზიის 74 თანამშრომელი ემსახურება.

2012 წელს გიმნაზიამ პირველ კურსდამთავრებულებს დაულოცა გზა დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურსდამთავრებულთა მონაცემები წლების მიხედვით:

2013-2014 წელი - 19 კურსდამთავრებული, 5 მედალოსანი;
2014-2015 წელი - 9 კურსდამთავრებული, 4 მედალოსანი;
2015-2016 წელი - 13 კურსდამთავრებული, 4 მედალოსანი;
2016-2017 წელი - 6 კურსამთავრებული, 3 მედალოსანი;
2017-2018 წელი - 18 კურსდამთავრებული, 5 მედალოსანი;
2018-2019 წელი- 18 კურსდამთავრებული, 4 მედალოსანი;
2019-2020 წელი - 19 კურსდამთავრებული, 5 მედალოსანი;
2020-2021 წელი - 19 კურსდამთავრებული, 7 მედალოსანი;
2021-2022 წელი - 21 კურსდამთავრებული, 6 მედალოსანი;
2022-2023 წელი - 21 კურსდამთავრებული, 11 მედალოსანი;
2023-2024 წელი - 42 კურსდამთავრებული, 20 მედალოსანი.

2014 წლიდან დღემდე 205-მა მოსწავლემ დაასრულა სკოლა-გიმნაზია, მათგან 79 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანია; 197-მა გიმნაზიელმა განაგრძო სწავლა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. სახელმწიფო გრანტი მოპოვებული აქვს 101 ახალგაზრდას.

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის შეწევნითა და სკოლა-გიმნაზიის მასწავლებელთა ძალისხმევით გიმნაზიელებს არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ როგორც საგანმანათლებლო, ასევე სახელოვნებო მიმართულებით.

I. სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზება

სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმა სამ არსებით სფეროსთან მიმართებით ხასიათდება:

1. სასწავლო პროცესი
2. სასწავლო პროგრამები
3. საორგანიზაციო კულტურა

1. სასწავლო პროცესი

სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის მიზანია:

- მოსწავლე ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და არ იყოს პასიური მსმენელი **(აქტიური სწავლა);**
- მოსწავლეს ახალი ცოდნა მიეწოდებოდეს არა ერთბაშად, მომზადების გარეშე, არამედ თანდათანობით მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით **(ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით);**
- მოსწავლე იღებდეს არა დაქსასულ და დანაწევრებულ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციას იაზრებდეს და უკავშირებდეს ადრე ნასწავლს **(ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება);**
- ყურადღება გამახვილდეს სწავლის სტრატეგიებზე **(სწავლის სწავლა);**
- ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე, არამედ ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირებაზე **(ცოდნის სამი კატეგორია).**

2. სასწავლო პროგრამები

ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმი გრძელვადიან მიზნებზე/პროცესებზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამების განვითარებას მოითხოვს.

გრძელვადიან მიზნებზე/პროცესზე ორიენტირებული პროგრამები გულისხმობს ისეთ პროგრამებს, სადაც მიზნები გრძელვადიანი და მცირერიცხოვანია, ბევრ შემოქმედებით თავისუფლებას უტოვებს მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად. ამ ტიპის პროგრამების/ კურიკულუმების პრაქტიკული გამოყენებისას სასწავლო შედეგებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს თავად სასწავლო პროცესს.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიამ შეიმუშავა **გრძელვადიან მიზნებზე/პროცესზე ორიენტირებული პროგრამები.** მასწავლებლები თავად არჩევენ მისი მიღწევის გზებს მოსწავლეების შესაძლებლობების და სწავლა-გიმნაზიის ინტერესების შესაბამისად.

3. საორგანიზაციო კულტურა

სკოლა-გიმნაზიაში ესგ-ის მოთხოვნების განხორციელებასთან ერთად პოზიტიურ სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებაა საჭირო, სადაც პროცესები ორიენტირებული იქნება:

- საგიმნაზიო საზოგადოების წევრების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე;
- ფორმალისტური ადმინისტრაციული ვალდებულებების შემცირებაზე;
- ჰორიზონტულ ურთიერთობაზე და არა მკაცრ, ავტორიტარულ, ცენტრალიზებულ მიდგომებზე;
- მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე;
- ურთიერთდახმარებაზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე;
- დეცენტრალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას და არა ცენტრალიზაციაზე.

მთავარი აქცენტი ამ დროს შინაგან მოტივაციაზე კეთდება. მასწავლებლებს შეუძლიათ დასახული ამოცანების შესრულება და ამ ამოცანების მნიშვნელობის დანახვა მთლიანი საქმისთვის. შინაგან მოტივაციას სწორედ ამ ორი ფაქტორის თანხვედრა იწვევს. სასკოლო საზოგადოების ცხოვრების დღის წესრიგში დგას ისეთი საკითხები, რომლებიც მოსწავლის სწავლასა და განვითარებას უკავშირდება. შეთავაზებული ინსტრუმენტებიც - კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად ამ მიზნით გამოიყენება. პასუხისმგებლობის გადანაწილება ხდება საგიმნაზიო საზოგადოების წევრებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართოა მასწავლებლების ჩართულობა. სკოლა-გიმნაზიაში იქმნება პროდუქტი - საგიმნაზიო კურიკულუმი, რომელიც ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოადგენს, რომელზეც შესაბამისი საგნის ყველა მასწავლებელი მუშაობს, ხოლო საგიმნაზიო პროექტი კი საგიმნაზიო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით ხორციელდება. სკოლა-გიმნაზიამ, როგორც ერთიანმა გუნდმა, დამოუკიდებლად იზრუნა საგიმნაზიო კურიკულუმის შესაქმნელად და საკუთარ სასწავლებელზე მორგებული თვითშეფასებისა და ხარისხის მართვის სისტემების ჩამოსაყალიბებლად.

სკოლა-გიმნაზია ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით, სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, შემეცნებით, სპორტულ, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების საშუალებით ხელს უწყობს:

- ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას სასკოლო-საგიმნაზიო საზოგადოებში;
- შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;
- მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;

- მოსწავლეებში ქრისტიანული ცნობიერების ჩამოყალიბებას;
- ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვას;
- ქრისტიანული ქვეყნების ისტორიისა და ტრადიციების შესწავლას;
- კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას;
- გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის;
- კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას;
- სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას.

სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-სწავლების მიზანია მოსწავლეს განუვითაროს ისეთი გამჭოლი უნარები როგორიცაა: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, სწავლის სწავლა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება.

პრიორიტეტული მიმართულებები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და სკოლა-გიმნაზიის მისიიდან გამომდინარე, სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ცოდნის ამაღლება ხელს უწყობს: ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბებას, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების, სამეწარმეო უნარების განვითარებას. ეს პრიორიტეტული მიმართულებებია:

ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

ბ) გარემოს დაცვა;

გ) ჯანსაღი ცხოვრება;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;

ე) კონფლიქტების მართვა;

ვ) ფინანსური წიგნიერება;

ზ) კულტურული მრავალფეროვნება;

თ) ადამიანის უფლებები;

ი) ქრისტიანული განათლება.

თითოეული პრიორიტეტული მიმართულება რეალიზდება როგორც ფორმალური და სასკოლო-საგიმნაზიო არაფორმალური განათლების ფარგლებში.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიამ 2024-2025 სასწავლო წელს, ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პრიორიტეტული მიმართულებებიდან აარჩია და საგიმნაზიო საზოგადოებას განსახორციელებლად შესთავაზა შემდეგი საგიმნაზიო პროექტები:

- საქველმოქმედო საშობაო და სააღდგომო გამოფენა-გაყიდვა,
- ყოველწლიური საშობაო ფესტივალი გენეთლია,
- ჯანსაღი ცხოვრება,
- ქრიატიანული კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და დაცვა.

პრიორიტეტული თემა და მისი მნიშვნელობა

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული განათლების სისტემის ამოცანები - განუვითაროს მოზარდს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დაუმკვიდროს ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჩამოაყალიბოს იგი აქტიურ, შემოქმედებით და

პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობა, შეუძლია ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა, იცის რა ზიანი შეძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების რეალიზებისთვის საჭიროა მოსწავლის ცოდნის ამაღლება მდგრადი განვითარების მიმართულებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლასა და მასწავლებელს სთხოვს არა მხოლოდ საგნობრივი სტანდარტის შესრულებას, არამედ პრიორიტეტული თემის მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება.

პრიორიტეტულ თემებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, არამედ სასკოლო-საგიმნაზიო კულტურის განვითარების თვალსაზრისითაც. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო სივრცეში რეგულარულად ხორციელდებოდეს პროექტები, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება და რომლის წყალობითაც ის გარკვეულ კავშირებს შექმნის სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ასეთი ტიპის პროექტები ხელს უწყობს, სკოლა-გიმნაზია გადაიქცეს სოციალურ-კულტურულ სივრცედ.

საგიმნაზიო პროექტები ფორმალურ განათლებაში განხორციელდება კომპლექსური დავალებების შესრულებით, სადამრიგებლო პროგრამებში ჩაშენებული აქტივობების განხორციელებით, ხოლო არაფორმალურ განათლებაში - სპორტული, სახელოვნებო, საწრეო და საკლუბო აქტივობებით (მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით). დაგეგმილი პროექტები განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.

საგიმნაზიო პროექტზე მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგ საკვანძო საკითხები:

- რამდენად ორიენტირებულია სასკოლო-საგიმნაზიო პროექტი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე;
- რამდენად ორიენტირებულია პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებასთან/ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე;
- უწყობს თუ არა პროექტი ხელს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემაზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;
- რამდენად გამოკვეთს პროექტი ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;
- რამდენად ითვალისწინებს პროექტი სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სხვა) თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;
- რამდენად ავითარებს პროექტი თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს;
- რამდენად ითვალისწინებს სასკოლო-საგიმნაზიო პროექტი ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტს;
- რამდენად აქვს ყველა მოსწავლეს თანაბრად ჩართვის შესაძლებლობა;
- რამდენად მოიაზრებს პროექტის იდეა და შედეგები კავშირს სკოლა-გიმნაზიის განვითარებასთან.

❖ **სწავლა-სწავლების პროცესი**

ფორმალური განათლება (ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები)

სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სასიცოცხლო და ინტელექტუალური უნარების განვითარება, მათ შორის: ჯანსაღი უსაფრთხო ცხოვრების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების აღმოჩენისა და გამოსავლის ძიების,

ამოცანის დასმისა და გადაჭრის, არგუმენტებისა და მსჯელობა-დასაბუთების, შეფასების, წარდგინება-პრეზენტაციის და სხვა. მასწავლებელი უნდა ფლობდეს და იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს, მათ შორის: აზროვნების განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, აღმოჩენის გზით სწავლება, თანამშრომლობის გზით სწავლება, პრაქტიკული სწავლება, გამოცდილებაზე დამყარებული სწავლება და სხვა.

ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კეთილგანწყობილ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.

სკოლა-გიმნაზია განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მიცემის მიზნით მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს სიღრმისეულ სწავლებას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, მის საჭიროებაში, კავშირს სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლა-გიმნაზიის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

სკოლა-გიმნაზია უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს, ამავე დროს, უზრუნველყოფს მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, ასევე ეხმარებიან ერთმანეთს სწავლა-სწავლებისას.

- **საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება**

სასწავლო წლის კალენდარი

სასწავლო წელი დაიწყება 2024 წლის 16 სექტემბერს და დამთავრდება 2025 წლის 13 ივნისს, გარდა I და XII კლასებისა. არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით და სკოლა-გიმნაზიის კალენდრით. ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისათვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 35 კვირაზე ნაკლები, ხოლო I და XII კლასისთვის 30 კვირაზე ნაკლები.

სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ჰყოფს საშობაო არდადეგები.

სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლა-გიმნაზიაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები;

ბ) რელიგიური დღესასწაულის გამო სკოლა-გიმნაზია მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

სამუშაო და დასვენების დღეები

16 სექტემბერი - სასწავლო წლის დასაწყისი

27 სექტემბერი - ჯვართამაღლება (პარასკევი)

14 ოქტომბერი - სვეტიცხოვლობა (ორშაბათი)

4 დეკემბერი - ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება (ოთხშაბათი)

30 დეკემბერი - 17 იანვარი - საშობაო არდადეგები

3 მარტი - დედის დღე (ორშაბათი)

7 აპრილი - ხარება (ორშაბათი)

9 აპრილი - დამოუკიდებლობის აღდგენის დღე (ოთხშაბათი)

17 აპრილი - 25 აპრილი სააღდგომო არდადეგები

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე (პარასკევი)

12 მაისი - ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე (ორშაბათი)

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე (ორშაბათი)

29 მაისი - ამაღლება (ხუთშაბათი)

13 ივნისი - 13 სექტემბერი - საზაფხულო არდადეგები

II-XII კლასები

I სემესტრი – 15 კვირა

II სემესტრი – 20 კვირა

სწავლის დასრულება

I კლასი - 2025 წლის 27 მაისი

XII კლასი - 2025 წლის 20 მაისი

დღის რეჟიმი

სკოლა-გიმნაზიაში სწავლება ხორციელდება ერთ ცვლაში. ყოველ დილით, 8:45-ზე სკოლა-გიმნაზიის ტაძარში მოსწავლეები ესწრებიან დილის ლოცვას. სასწავლო პროცესი იწყება 09:00 სთ-ზე. გაკვეთილების ხანგრძლივობა II-XII კლასებში განისაზღვრება 40 წუთით, პირველ კლასში - 35 წუთით. პირველი ორი შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 10 წუთით, დანარჩენი შესვენებების - 5 წუთით. ორშაბათს, მესამე გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები ტაძარში ესწრებიან ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის პარაკლისს.

გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი. სკოლა-გიმნაზიამ შესაძლოა ხანმოკლე ვადით შეცვალოს (გაზარდოს ან შეამციროს) გაკვეთილების ხანგრძლივობა.

I კლასი

ორშაბათი

გაკვეთილი	I	II	III	IV	V
დაწყება	9^{00}	9^{50}	10^{40}	11^{40}	12^{25}
დამთავრება	9^{35}	10^{25}	11^{15}	12^{15}	13^{00}

სამშაბათი-პარასკევი

გაკვეთილი	I	II	III	IV	V
დაწყება	9^{00}	9^{50}	10^{40}	11^{25}	12^{10}
დამთავრება	9^{35}	10^{25}	11^{15}	12^{00}	12^{45}

II- XII კლასი

ორშაბათი

გაკვეთილი	I	II	III	IV	V	VI	VII
დაწყება	9^{00}	9^{50}	10^{40}	11^{40}	12^{25}	13^{10}	13^{55}
დამთავრება	9^{40}	10^{30}	11^{20}	12^{20}	13^{05}	13^{50}	14^{35}

სამშაბათი-პარასკევი

გაკვეთილი	I	II	III	IV	V	VI	VII
დაწყება	9^{00}	9^{50}	10^{40}	11^{25}	12^{10}	12^{55}	13^{40}
დამთავრება	9^{40}	10^{30}	11^{20}	12^{05}	12^{50}	13^{35}	14^{20}

მოსწავლეთა რაოდენობა

სკოლა-გიმნაზიის დაწყებით (I-VI კლ.) და საბაზო (VII-IX კლ.) საფეხურებზე მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია არაუმეტეს 25 მოსწავლით. საშუალო (X-XII კლ.) საფეხურზე - 30 მოსწავლით. დაშვებულია პარალელური კლასების არსებობა. თუ მოსწავლეთა რაოდენობა კლასში აღემატება 26-ს, მაშინ შეიძლება კლასები გაიყოს ქართული ენისა და ლიტერატურისა და უცხოური ენების გაკვეთილებზე.

- **დისტანციური სწავლება**

დისტანციური სწავლების მოდელები

1. სკოლა-გიმნაზიაში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

ა) სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლის ერთობლივად ჩართვას:

ბ) სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;

გ) ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით.

2. თუ სკოლა-გიმნაზია აირჩევს დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელს, ათანხმებს რესურსცენტრთან განსაზღვრული განაცხადის ფორმით. დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელის სასწავლო წლის დაწყებამდე შერჩევის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია წერილობით მიმართავს რესურსცენტრს სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 დღისა, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის შემთხვევაში, ამ წესით განსაზღვრული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა-გიმნაზია განაცხადით ირჩევს დისტანციური სწავლების ჰიბრიდულ მოდელს, აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს რესურსცენტრი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4. სკოლა-გიმნაზიის დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონულ (როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ) მოდელზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი რესურსცენტრის შუამდგომლობით იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელზე გადასვლის წინაპირობები

სკოლა-გიმნაზიაში დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელზე გადასვლის წინაპირობა შეიძლება იყოს:

ა) სკოლა-გიმნაზიაში/მუნიციპალიტეტში/ქვეყანაში არსებული სხვადასხვა გადამდები დაავადებით გამოწვეული მდგომარეობისას დადგენილი დროებითი შეზღუდვები;

ბ) რთული მეტეოროლოგიური/ექსტრემალური პირობებით ან ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული დროებითი შეზღუდვები;

გ) სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმილ ვადებში შეუსრულებლობისას ან გადაუდებელი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას;

დ) ცალკეულ საგანში/საგნებში ადამიანური რესურსის (მასწავლებლის) დეფიციტი;

ე) ცალკეულ საგანში/საგნებში თანამედროვე ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიების დანერგვა ან სკოლა-გიმნაზიის მიერ სხვა დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში.

დასწრებითი სწავლების განახლება

სკოლა-გიმნაზიაში დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნების წინაპირობა შეიძლება იყოს:

ა) სკოლა-გიმნაზიაში/მუნიციპალიტეტში/ქვეყანაში არსებული სხვადასხვა გადამდები დაავადებით გამოწვეული მდგომარეობისას დადგენილი დროებითი შეზღუდვების გაუქმება;

ბ) სკოლა-გიმნაზიაში/მუნიციპალიტეტში/ქვეყანაში არსებული რთული მეტეოროლოგიური /ექსტრემალური პირობებით ან ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული დროებითი შეზღუდვების გაუქმება;

გ) სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე გადაუდებელი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

დ) ცალკეულ საგანში/საგნებში ადამიანური რესურსის (მასწავლებლის) დეფიციტის აღმოფხვრა.

სკოლა-გიმნაზია განაახლებს დასწრებით სწავლებას მინისტრის ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, რესურსცენტრის უფროსის შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით წინასწარ განსაზღვრული დისტანციური სწავლების ვადის ამოწურვის შემდეგ.

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას ადგენს სკოლა-გიმნაზია დირექციისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო) ჩართულობით.
2. სინქრონული ელექტრონული სწავლების შემთხვევაში სკოლა-გიმნაზია ადგენს სასკოლო საათობრივ ბადეს. ამ დროს, მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათის) რაოდენობა არის შემდეგი:

   კლასი I- IV - დღეში 1 საათი;

   კლასი V- IX - 1 საათი და 30 წუთი;

   კლასი X-XII- 2 საათი.

   დისტანციური გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა არის შემდეგი:

   ა) I-IV კლასებში – 15-20 წუთი;

   ბ) V-IX კლასებში – 25-30 წუთი;

   გ) X-XII კლასებში – 35-40 წუთი.

   რეკომენდებულია დღეში არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება.

   რეკომენდებულია დაგეგმილი გაკვეთილი შეიცავდეს სხვადასხვა ინტერაქტიულ ტექნიკას, მათ შორის, 10-15-წუთიან შესვენებას ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში.
3. ასინქრონული ელექტრონული სწავლების შემთხვევაში სკოლა-გიმნაზია ადგენს სასკოლო საათობრივ ბადეს დისტანციური სწავლების პერიოდისათვის.
4. ჰიბრიდული დისტანციური სწავლების შემთხვევაში სკოლა-გიმნაზია ადგენს საგაკვეთილო ცხრილს თითოეული საკლასო ჯგუფისთვის თითოეულ საგანში, რომელშიც მითითებულია გაკვეთილების ჩატარების ფორმა: დისტანციური ან დასწრებით, ასევე განსაზღვრავს საკლასო განაყოფებს დასწრებითი კლასების გაკვეთილებისთვის.
5. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა არც ერთი მოსწავლე არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს თანაკლასელებს სწავლაში.
6. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია მაქსიმალური ძალისხმევა გამოიყენოს იმისათვის, რომ I-IV კლასების მოსწავლეებისთვის უზრუნველყოს დასწრებითი სასწავლო პროცესი.
7. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, მაქსიმალური ძალისხმევა გამოიყენოს იმისათვის, რომ სკოლა-გიმნაზიის სივრცეში უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის მათი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.
8. დისტანციური სწავლების ნებისმიერი მოდელის განხორციელების შემთხვევაში სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლისათვის მის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, კლასის ხელმძღვანელის, საგნის მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით.

9. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია დისტანციური სწავლებისას დაიცვას თითოეული მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

დისტანციურ სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო რესურსები

1. სკოლა-გიმნაზიაში, დისტანციური სწავლების ნებისმიერი მოდელის გამოყენების დროს, მასწავლებელმა თემების/თემატური ერთეულებისა და კომპლექსური დავალებების მეშვეობით უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი.
2. მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დაწყებამდე თავად უნდა შეარჩიოს სავალდებულო თემები რიგ საგნებში (მაგ.: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, უცხოური ენა, ქართული). რიგი საგნებისთვის (მაგ.: საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები) სავალდებულო თემები მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში.
3. დისტანციური სწავლებისას სასწავლო რესურსად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები; სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები; სხვადასხვა სახის დამხმარე ელექტრონული რესურსები; მასწავლებლის, მოსწავლეების, შესაბამისი სპეციალისტების მიერ მომზადებული ელექტრონული რესურსები და სხვა;
4. კომპლექსური დავალებების შედგენა, მათი მეშვეობით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასება მეთოდური რეკომენდაციებისა და საგნობრივი გზამკვლევების შესაბამისად უნდა მოხდეს.

მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სისტემატურად აწარმოოს მოსწავლეთა დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
2. კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ დისტანციური გაკვეთილის გაცდენის მიზეზები და იმ შემთხვევაში თუ:
   ა) აღნიშნული გამოწვეულია მოსწავლის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის (მოწყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, ინფორმაცია მიაწოდოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს და პრობლემის მოგვარებამდე მასწავლებელთა ჯგუფთან ერთად ინდივიდუალურად განიხილოს არსებული შესაძლებლობები და დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად.
   ბ) მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან კავშირის დამყარება თუ ვერ ხერხდება და უცნობია გაკვეთილებზე დაუსწრებლობის მიზეზები, სკოლა-გიმნაზიამ უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია გამოყოს შესაბამისი სივრცე მასწავლებლისთვის /მოსწავლისთვის ან/და გაანათხოვროს სკოლა-გიმნაზიის კუთვნილი ტექნიკური აღჭურვილობა დისტანციური გაკვეთილის ჩასატარებლად იმ შემთხვევაში თუ:
   ა) მასწავლებელი/მოსწავლე ვერ ახერხებს სახლიდან ჩართვას;
   ბ) მასწავლებელს/მოსწავლეს არ აქვს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა/ინტერნეტი.

დისტანციური სწავლების შეფასება

სკოლა-გიმნაზიაში დისტანციური სწავლების დროს მოსწავლეთა შეფასება წარმოებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგი

1. სკოლა-გიმნაზია შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის.
2. დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის განხორციელებული ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს:
   ა) დისტანციური გაკვეთილების დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით ჩატარების ზედამხედველობას;
   ბ) დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვაზე ზედამხედველობას;
   გ) დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვას და მიზეზების კვლევას;
   დ) ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს მოსწავლის ჩართულობას დისტანციურ სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეს დამოუკიდებლად სწავლის უნარის გამომუშავებაში;

ბ) ითანამშრომლოს სკოლა-გიმნაზიასთან და დაეხმაროს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის მიერ დასახული სასწავლო მიზნების მიღწევაში;

გ) თვალყური ადევნოს მოსწავლეს და დროულად შეატყობინოს სკოლა-გიმნაზიას დისტანციურ სასწავლო პროცესში რაიმე ფორმით ძალადობრივი ქმედების, მათ შორის, კიბერბულინგის დაფიქსირებისთანავე;

დ) შეატყობინოს სკოლა-გიმნაზიას დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით არსებული სირთულეების შესახებ და ითანამშრომლოს სკოლა-გიმნაზიასთან სირთულის დაძლევის გზის მოძებნაში.

ე) პატივი სცეს მასწავლებლის შემოქმედებით და სამუშაო ონლაინ სივრცეს, დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

დისტანციური სასწავლო პროცესის თანაბარი ხელმისაწვდომობა

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია მაქსიმალური ძალისხმევა მიმართოს დისტანციური სასწავლო პროცესის თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის;
2. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა-გიმნაზიისთვის ხელმისაწვდომი რესურსებით ვერ ხერხდება მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, გიმნაზია ვალდებულია მოსწავლისთვის უზრუნველყოს ინდივიდუალური კონსულტაციები დასწრებულად ან/და დისტანციურად.

სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციული პერსონალის ვალდებულებები დისტანციური სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის

1. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ვალდებულნი არიან დისტანციური სასწავლო პროცესი დაგეგმონ სკოლა-გიმნაზიის რესურსების, თოთოეული მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
2. სკოლა-გიმნაზიის ექიმი ვალდებულია გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები საგნობრივ კათედრებსა და სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს გაკვეთილების ფორმისა და ხანგრძლივობის შესახებ.

3. კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია კომუნიკაცია იქონიოს თითოეულ მოსწავლესთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან. დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩასართავად რაიმე შეფერხების გამოვლენისთანავე მიმართოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას და პარალელურად, კლასის საგნის მასწავლებლებთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციით დასახოს გზები მოსწავლის მხარდასაჭერად.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების კლასის ხელმძღვანელები, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, ვალდებული არიან მუდმივი კომუნიკაცია იქონიონ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით უზრუნველყონ მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია გაუწიონ სსსმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მხარდაჭერისა და სახლის პირობებში მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების განვითარებისთვის.

❖ **კლასის ხელმძღვანელთა პროგრამა**

სკოლა-გიმნაზიაში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის. აქედან გამომდინარე კლასის ხელმძღვანელის ფუნქცია და მოვალეობები მნიშვნელოვნად იზრდება.

სკოლა-გიმნაზიაში ყველა კლასს ჰყავს კლასის ხელმძღვანელი.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობის მიზანია: დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში. კლასის ხელმძღვანელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

კლასის ხელმძღვანელის მოვალეობებია:

- სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშაოს სადამრიგებლო პროგრამა;
- გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი, მშობელთან დასადები ხელშეკრულების პირობები, მოსწავლის ეთიკის კოდექსი და სკოლა-გიმნაზიის სასწავლო კურიკულუმის შესაბამისი საკითხები);
- დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში კლასის ხელმძღვანელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით;
- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო-საგიმნაზიო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- იყოს შუამავალი სკოლა-გიმნაზიის მოძღვრის დახმარებით (ან დამოუკიდებლად) მოსწავლეს, მის მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

- სადამრიგებლო კლასის წარმატება თუ კლასში წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემა გააცნოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორსა და მოძღვარს;
- მოიწვიოს მშობელთა კრება სემესტრში ორჯერ და საჭიროების შემთხვევაში. გააფორმოს კრების ოქმი;
- მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ;
- მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში დაუყოვნებლად დაადგინოს გაცდენის მიზეზი;
- აწარმოოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია სკოლა-გიმნაზიის დირექციას;
- ესაუბროს მშობლებს შვილის აკადემიურ მოსწრებასა და ყოფაქცევაზე მხოლოდ ინდივიდუალური შეხვედრების დროს (დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი);
- საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს ქცევის წესები და მოითხოვოს მოსწავლეთაგან მათი, ასევე სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების დაცვა;
- ყოველდღე დაესწროს სადამრიგებლო კლასის გაკვეთილებს (თუ მისი საათობრივი დატვირთვა არის 10 საათი ან ნაკლები), ხოლო თუ მისი საათობრივი დატვირთვა არის 10 საათზე მეტი კვირის განმავლობაში დაესწროს სადამრიგებლო კლასში მინიმუმ 3 გაკვეთილს);
- სემესტრში ერთხელ დაგეგმოს და ჩაატაროს სამუშაო შეხვედრა სადამრიგებლო კლასის მასწავლებლებთან;
- უზრუნველყოს სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების უსაფრთხოდ შენახვა და სასწავლო წლის ბოლოს არქივისთვის გადაცემა;
- სასწავლო წლის ბოლოს დროულად შეიტანოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა შეფასებები, მონაცემები მოსწავლეთა აქტივობებისა და წახალისების შესახებ მოსწავლეთა პირად საქმეში;
- წარადგინოს ანგარიში პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე;
- მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობის პრინციპი

კლასის ხელმძღვანელის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:

- ხელი შეუწყოს სადამრიგებლო კლასში მოსწავლეების ეკლესიურ აღზრდას, ზნეობრივი ნორმებისა და სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით დადგენილი წესების დაცვას;
- **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
- **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - კლასის ხელმძღვანელის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების

გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

- **მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება** - კლასის ხელმძღვანელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ საქმიანობების (შეხვედრები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
- **თანამშრომლობის პრინციპი** – კლასის ხელმძღვანელის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

კლასის ხელმძღვანელთა წლიურ სამოქმედო პროგრამაზე მუშაობისას სკოლა-გიმნაზია რეკომენდაციას აძლევს კლასის ხელმძღვანებლებს საუბრები წარმართოს შემდეგი მიმართულებით:

- პიროვნული და მორალური განვითარება;
- გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
- მეწარმეობის უნარების განვითარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- უსაფრთხოება და ძალადობისაგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
- მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;
- თვალსაწიერის გაფართოება;
- კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლების დაცვა.

❖ **საგნობრივი კათედრები**

თანამშრომლობისა და გუნდური პასუხისმგებლობის ინტერესთა გაერთიანების, წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის მიზნით სკოლა-გიმნაზიაში იქმნება მასწავლებელთა გაერთიანებები. ე.წ. კათედრები.

კათედრის ფუნქციებია:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

თ) სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორისთვის ვერიფიკაციის ჯგუფის წევრის წარდგენა.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

ა) კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);

ბ) სკოლა-გიმნაზიის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ., გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა

სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);

გ) მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.

კათედრა იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

კათედრის თავმჯდომარეს ირჩევენ კათედრის წევრები ერთი წლის ვადით ხმათა უმრავლესობით. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს 6 კათედრა, სადაც გაერთიანებულია შემდეგი საგნობრივი ჯგუფები:

1. **სახელმწიფო ენის კათედრა** (ქართული ენა და ლიტერატურა, ძველი ქართული ენა);
2. **მათემატიკა და ტექნოლოგიები** (მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები);
3. **უცხოური ენების** (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა);
4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია);
5. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, პროექტი სამოქალაქო განათლებაში, საღვთო სჯული, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება);
6. **ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/ მუსიკაში, ჭადრაკი).

კათედრის საქმიანობა და სამოქმედო გეგმები ასახულია კათედრის ჟურნალში.

კათედრების შემადგენლობა

სახელმწიფო ენის კათედრა

საგანები: ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლ.);
ძველი ქართული (ისწავლება V-VII კლ.)

კათედრის თავმჯდომარე: მ. საური;

კათედრის წევრები:

ნ. ბერძენიშვილი;
ც. ვანიშვილი;
მ. კაკაურიძე;
ნ. კვაღნიძე;
ნ. ლომიძე;
ნ. მჭედლიშვილი;
მ. მაისურაძე;
თ. ჭუმბურიძე.

მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა

საგნები: მათემატიკა (ისწავლება I-XII კლ.);
კომპიუტერული ტექნოლოგიები (ისწავლება II, III, IV, V, VI კლ.);
კათედრის თავმჯდომარე: ქ. ბუჟღულაშვილი

კათედრის წევრები:

ხ. ბეგიაშვილი;
გ. ბუთხუზი;

მ. ბუხრაძე;
გ. გურგენაშვილი;
რ. ოქროპირიძე;
მ. ხუციშვილი;
მ. ჩუხრუკიძე;

უცხოური ენების კათედრა

საგნები: ინგლისური ენა (ისწავლება I-XII კლ.);
რუსული ენა (ისწავლება V-XII კლ.)
გერმანული ენა (V კლ.)
კათედრის თავმჯდომარე: ე.წულაძე
კათედრის წევრება:
მ. ასანიძე;
თ. დეკანოსიძე;
რ. ელბაქიძე;
მ. კურტანიძე;
თ. ლიჩელი;
ი. ნაროზაშვილი;
ნ. ცოტნიაშვილი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა

საგნები: ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-VI კლ.);
ბიოლოგია (ისწავლება VII-XI კლ.);
ფიზიკა (ისწავლება VII-XI კლ.);
ქიმია (ისწავლება VIII-XI კლ.);
კათედრის თავმჯდომარე: ნ. ნაოჭაშვილი
კათედრის წევრები:
ლ. ბერუაშვილი;
ც. ზაბილონი;
ე. თვაური;
ს. მჭედლიშვილი;
მ. მჭედლიძე;
თ. ურჯუმელაშვილი;
ნ. ფსუტური;
ნ. ხიდაშელი;
ი. ჯალალი;

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა

საგნები: მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლ.);
ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლ.);
ისტორია (ისწავლება VII-XII კლ.);
საქართველოს ისტორია (ისწავლება X, XI, XII კლ.);
გეოგრაფია (ისწავლება VII- XI კლ.);
მოქალაქეობა (ისწავლება VII-XII კლ.);
პროექტი სამოქალაქო განათლებაში (ისწავლება X, XI, XII კლ.);
საღვთო სჯული (ისწავლება II-XII კლ.);
მეწარმეობის საფუძვლები (ისწავლება X კლ.);

საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (ისწავლება XI კლ.).
კათედრის თავმჯდომარე: ნ. სადღობელაშვილი
კათედრის წევრები:
ლ. გელაშვილი;
თ. გვერდწითელი;
დ. დუგლაძე;
ც. ზაბილონი;
მ. მაკრახიძე;
ქ. პარასკევაშვილი;
გ. ტატუნაშვილი;
ლ. ყეინაშვილი;
თ. ცერცვაძე;
ნ. ხიდაშელი;
ი. ჯალალი.

ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა

საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I-IX კლ.);
მუსიკა (ისწავლება I-IX კლ.);
ფიზიკური აღზრდა (ისწავლება I-VI კლ.);
ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ისწავლება VII-XII კლ.);
პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში (ისწავლება X/XI კლ.);
ჭადრაკი (ისწავლება I, II კლ.);
კათედრის თავმჯდომარე: ქ.ლობჟანიძე;
კათედრის წევრები:
მ. აწკარუნაშვილი;
ე. თვაური;
ლ. მერაბიშვილი;
ქ. კორაშვილი;
მ. სანადირაძე;
მ. კახიაშვილი;
ი. ჯალალი.

- **ინკლუზიური განათლება**

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

იგულისხმება მოსწავლე (შემდგომში-სსსმ მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;

ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის - ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე; ცენტრის მიერ ასევე განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ესგ-ის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.

სსსმ მოსწავლისათვის სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციასა და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.

მოსწავლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთ ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;

ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;

გ) შეფასების აკომოდაცია;

დ) დროის გრაფიკის აკომოდაცია.

ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, მაშინ როცა შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება.

მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შეტანილია ალტერნატიული მიზნები, როგორიცაა ყოველდღიური სასიცოცხლო ფუნქციური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმის ნაწილია. იგი მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას,

სკოლა-გიმნაზიაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სსსმ მოსწავლეთათვის საჭიროებისამებრ იქმნება ისგ სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში (იმ მოსწავლეთა შემთხვევაში, რომელთა ინდივიდუალური საჭიროებები უკვე იდენტიფიცირებულია) ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა-გიმნაზია მოსწავლეს გადაამისამართებს დეტალური შეფასებისათვის სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრთან (სამმართველო), რომლის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ისგ-ის შედგენის შესახებ. ისგ ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს. შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.

ისგ სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად მოიცავს ან ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს.

ყოველი სსსმ მოსწავლისათვის ისგ-ის ფარგლებში დეტალურადაა განსაზღვრული:

- სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც სასკოლო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
- დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
- დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
- ისგ მოიცავს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

ინკლუზიური განათლების სასკოლო-საგიმნაზიო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აძლევს თითოეულ მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების გამომუშავების თანაბარ შესაძლებლობას.

ინკლუზიური განათლების სასკოლო-საგიმნაზიო პოლიტიკა ყოველწლიურად გადაისინჯება და საჭიროებისამებრ სწორდება. შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწორება.

სკოლა-გიმნაზიაში არსებული პირობები ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლა-გიმნაზიაში სწავლების ხელმისაწვდომობას. შექმნილია შესაბამისი ფიზიკური გარემო, მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ხორციელდება კვალიფიციური კადრის მიერ.

სკოლა-გიმნაზია ხელს უწყობს პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს, რომელიც მიმართულია ახალი მეთოდებით სწავლებაზე, რაც აადვილებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლა-გიმნაზია ბრძანებით განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს (შემდგომში - ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ის ჯგუფი მონაწილეობს ისგ-ის შიდა მონიტორინგში და მასალას წარუდგენს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს.

ისგ ჯგუფში გაერთიანებულნი არიან ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლა-გიმნაზიის სპეციალური მასწავლებელი.

ისგ ჯგუფს ჰყავს კოორდინატორი - კლასის ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ისგ ჯგუფის შეხვედრა ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს. შეხვედრებზე განიხილება მოსწავლის აქტუალური დონე, მისი შესაძლებლობები. აგრეთვე, გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.

ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

ისგ ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოსსკოლა- გიმნაზიის დირექციას მიაწვდის სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებულ სრულ დოკუმენტაციას (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელი სპეციალურ მასწავლებელს გადასცემს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიშს, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა-გიმნაზია აწარმოებს ისგ-ის შესრულების მონიტორინგს. ხდება გეგმის პერიოდული განახლება, გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ახალი საჭიროებების გათვალისწინებით.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება, გაცდენები

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) დასკვნის საფუძველზე.

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) წინასწარი დასკვნის საფუძველზე შეიძლება სკოლა-გიმნაზიამ დაუშვას შემდეგი გამონაკლისი:

ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.

ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შფასების საფუძველზე.

თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, როცა სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლა-გიმნაზიაში სიარულის საშუალებას, სკოლა-გიმნაზია მიმართავს ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრს (სამმართველო), რომლის დასკვნის

საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლა-გიმნაზიაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა-გიმნაზია უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების გეგმას, რომლის მიხედვითაც ხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

2. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს სკოლა-გიმნაზია და ათანხმებს მშობელთან.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად არის მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა-გიმნაზიას აქვს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლა-გიმნაზიის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი ახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლა-გიმნაზია/ისგ ჯგუფი ახორციელებს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგს სკოლა-გიმნაზიის მიერ შერჩეული ფორმატით.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართულია სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში სკოლა-გიმნაზია იყენებს დისტანციური (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) სწავლების ფორმას.

სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

წლის ბოლოს სპეციალური მასწავლებელი სკოლა-გიმნაზიის დირექციას წარუდგენს მოსწავლის პორტფოლიოს.

სკოლა-გიმნაზიის დირექცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლისაგან წინასწარ ითხოვს ყველა ინფორმაციას რაც ეხება მოსწავლეს, რათა სასწავლო პროცესის დროს მოხდეს მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება. მშობელმა, ექიმის დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სპეციალისტის მიერ განსაზღვრული ბავშვის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების ჩამონათვალი და რეკომენდაციები საჭირო სასწავლო გარემოს მოსაწყობად. თუ ასეთი მოსწავლე გადმოდის სხვა სკოლიდან აუცილებელია სკოლამ გამოგზავნოს შეფასების ფურცელი და სრული ინფორმაცია მოსწავლის მდგომარეობის შესახებ.

II. ზოგადი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები საფეხურების მიხედვით

1) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

დაწყებით საფეხურზე სკოლა-გიმნაზიამ უნდა უზრუნველყოს:

ა) მოსწავლის გონებრივი, სულიერი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

- ✓ **სასკოლო საათობრივი ბადე**

სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას და მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც

აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სავალდებულო საგნები.

დაწყებითი საფეხური

	კლასები და სემესტრები	**I კლასი**		**II კლასი**		**III კლასი**		**IV კლასი**		**V კლასი**		**VI კლასი**	
	საგანი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფო ენა												
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	7	7	6	6	6	6	5	5	5	5
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	4	4
	უცხოური ენები												
4	პირველი უცხოური ენა	0	1	2	2	3	3	3	3	3	3	3	3
5	მეორე უცხოური ენა									2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
6	მე და საზოგადოება					2	2	2	2				
7	ჩვენი საქართველო									2	2	3	3
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
8	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	3	3	3
	ტექნოლოგიები												
9	კომპიუტერული ტექნოლოგიები			1	1	1	1	1	1	2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა												
10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
11	მუსიკა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი												
12	ფიზიკური აღზრდა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1

13	ჭადრაკი	1	1	1	1								
	დამატებითი სავალდებულო საგნები												
14	საღვთო სჯული			1	1	1	1	1	1	1	1	1	1
15	ძველი ქართული ენა									1	1	1	1
16	მოძღვრის საათი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**21**	**22**	**25**	**25**	**26**	**26**	**26**	**26**	**30**	**30**	**30**	**30**

- ✓ **საგანმანათლებლო რესურსები**

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის. სკოლა-გიმნაზიაში, მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის არსებობს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, პროექტორები, ტელევიზორები (SMART), ჭკვიანი დაფა და სხვა.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლა-გიმნაზიაში შემუშავებულია და ცნობილია პედაგოგიური საზოგადოებისა და მოსწავლეთათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები.

სკოლა-გიმნაზიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები (I-VI კლ.);

ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები;

გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის ელექტრონული) რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა.);

ე) საბუნებისმეტყველო დარგის ლაბორატორიული აღჭურვილობა;

ვ) მინი ლაბორატორიები;

ზ) კომპიუტერული ლაბორატორია ინტერნეტით;

თ) აუდიო-ვიდეო მოწყობილობები;

ი) აუდიო და ვიდეოთეკა (სასწავლო, შემეცნებითი, მხატვრული, ანიმაციური);

კ) ინტერნეტ რესურსები;

ლ) წიგნადი ფონდი;

სკოლა-გიმნაზია საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

სკოლა-გიმნაზიაში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს.

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით - დაწყებითი საფეხური

პირველი კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტან როდონაია, მარიამ მირიანაშვილი, ლალი ვაშაკიძე, ნატო ხაჭაპურიძე	შპს საქართველოს მაცნე
მათემატიკა	ბაკურ სულაკაური, სალომე ცხვედიანი, მარიამ ტატიშვილი, მარინე მახათაძე, დარინა ხუროშვილი, მარიამ რამინაშვილი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ბუნებისმეტყველება	ხათუნა გოგალაძე, მარინა ჯალიაშვილი, ხათუნა ფანთია	შპს ტრიასი
მუსიკა	მაია ოთიაშვილი	შპს გამომცემლობა წყაროსთვალი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი	შპს გამომცემლობა კლიო
ინგლისური Everybody Up Starter	ნინო თამარაშვილი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ჭადრაკი	ალექსანდრე არსენიძე	ალექსანდრე არსენიძე

მეორე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ლალი ვაშაკიძე, ვახტანგ როდონაია, მარიამ მირიანაშვილი, ნატო ხაჭაპურიძე	შპს გაზეთი საქართველოს მაცნე
მათემატიკა	ბაკურ სულაკაური, სალომე ცხვედიანი, მარიამ ტატიშვილი, მარინე მახათაძე, დარინა ხუროშვილი, მარიამ რამინაშვილი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ბუნებისმეტყველება	ხათუნა გოგალაძე, მარინა ჯალიაშვილი, ხათუნა ფანთია	შპს ტრიასი
მუსიკა	მაია ოთიაშვილი	შპს გამომცემლობა წყაროსთვალი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი	შპს გამომცემლობა კლიო
ინგლისური Everybody Up	ნინო თამარაშვილი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ჭადრაკი	ალექსანდრე არსენიძე	ალექსანდრე არსენიძე

მესამე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ირინე იაშვილი, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძე	შპს გამომცემლობა პალიტრა L ქართული ენა
მათემატიკა	გურამ ბერიშვილი, ბაკურ სულაკაური	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ბუნებისმეტყველება	მანანა ვარდიაშვილი, მარინე ჭელიძე, ირმა ავალიანი, გიორგი გედენიძე	შპს გამომცემლობა ინტელექტი
მუსიკა	ნაირა მამუკელაშვილი, ნინო როსტომაშვილი, ინგა ხრიკაძე	შპს ზენა
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე	შპს „გამომცემლობა კლიო"
ინგლისური New Building Blocks	კრისტინა კაჯო ანდელი, დასკა დომლიანი, ანკიცა კნეზოვიჩი, დანკა სინგერი, პაულა ვრანკოვიჩი	შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
მე და საზოგადოება	ნინო ტალახაძე	შპს „გამომცემლობა სიდი - ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი“

მეოთხე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ირინე იაშვილი, ხათუნა რაზმაძე, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძე	შპს გამომცემლობა პალიტრა L
მათემატიკა	ნანა ჯაფარიძე,ნანი წულაია, მაია წილოსანი	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ბუნებისმეტყველება	მანანა ვარდიაშვილი, მარინე ჭელიძე, ირმა ავალიანი, გიორგი გედენიძე	შპს გამომცემლობა ინტელექტი
მუსიკა	ნაირა მამუკელაშვილი, ნინო როსტომაშვილი, ინგა ხრიკაძე	შპს ზენა
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე	შპს გამომცემლობა კლიო
მე და საზოგადოება	ნინო ტალახაძე	შპს გამომცემლობა სიდი - ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი
ინგლისური New Building Bridges	კრისტინა კაჯო ანდელი, დასკა დომლიანი, ანკიცა კნეზოვიჩი, დანკა სინგერი, პაულა ვრანკოვიჩი	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მეხუთე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი	შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“
მათემატიკა	მაია წილოსანი, ნადეჟდა ჯაფარიძე, ნანი წულაია	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ბუნებისმეტყველება	ხათუნა გოგალაძე, მარინა ჯალიაშვილი, თამარ სადაგიშვილი, ილია ლომიძე, ზაზა ჯალიაშვილი,	შპს გამომცემლობა ტრიასი
ჩვენი საქართველო	როლანდ თოფჩიშვილი,ელენე მეძმარიაშვილი,ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი	შპს გამომცემლობა კლიო
მუსიკა	ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე, მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე, ია გაბუნია	შპს გამომცემლობა კლიო და შპს წყაროსთვალი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე	შპს გამომცემლობა კლიო
ისტ	ნ.ჯამასპიშვილი	შპს დიოგენე
ინგლისური New Building Bridges	ბორკა ლეკაჯ ლუბინა, იასნა პავუნა, დანკა სინგერი	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
რუსული Русский язык	მარინე ბარსეგოვა	შპს ოცდამეერთე
გერმანული	ნ. გიორგანაშვილი, შ. კვანჭიანი	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მეექვსე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, ენგურ ქურციკიძე	შპს საგამომცემლო სახლი სწავლანი
მათემატიკა	მაია წილოსანი, ნადეჟდა ჯაფარიძე, ნანი წულაია	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ბუნებისმეტყველება	ხათუნა გოგალაძე, მარინა ჯალიაშვილი, თამარ სადაგიშვილი, ზაზა ჯალიაშვილი, შორენა სამაკაშვილი, თეა ქუთათელაძე	შპს გამომცემლობა ტრიასი
ჩვენი საქართველო	როლანდ თოფჩიშვილი,ელენე მეძმარიაშვილი,ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი	შპს გამომცემლობა კლიო
მუსიკა	ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე, მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე, ია გაბუნია	შპს გამომცემლობა კლიო, შპს წყაროსთვალი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე	შპს გამომცემლობა კლიო

ისტ	ნ. ჯამასპიშვილი	შპს დიოგენე
ინგლისური New Building Bridges	ბორკა ლეკაჯ ლუბინა, იასნა პავუნა, დანკა სინგერი	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
რუსული Русский язык	მარინე ბარსეგოვა	შპს ოცდამეერთე

✓ **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება**

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და, შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

სკოლა-გიმნაზია თავის მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
მოსწავლეთა დამატებითი მომსახურება იწყება სასწავლო წლის დასაწყისიდან. სწავლების ფორმაა - წრეობრივი მეცადინეობა და საკლუბო მუშაობა.

წრეებისა და კლუბების ხელმძღვანელები ინდივიდუალურად საზღვრავენ სასწავლო კურსს, ადგენენ მუშაობის პროგრამას, ხანგრძლივობას და შეხვედრების განრიგს. სასწავლო პროგრამაში, რომელიც ძირითადად ეროვნული სასწავლო გეგმით ამა თუ იმ საგნისათვის განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს ეყრდნობა, მკაფიოდ არის გამოკვეთილი მათი მუშაობის პროფილი, მისი მიზანი, სრულყოფილად არის წარმოდგენილი თემების/საკითხების ჩამონათვალი. აგრეთვე ჩამოთვლილია რესურსები რომლებიც შეესაბამება წრისა თუ კლუბის მუშაობას და ემსახურება მიზნის მიღწევას. სამუშაო პროგრამაში დასაბუთებულია წრის/კლუბის ფუნქციონირების მნიშვნელობა და აქტუალობა. წრეებისა და კლუბის სასწავლო გეგმები წარედგინება დირექტორის მოადგილეს სასწავლო - აღმზრდელობით დარგში.

წრის/კლუბის ხელმძღვანელი მასწავლებელი, წრეში გაერთიანების მსურველთათვის უზრუნველყოფს წრის საქმიანობის შესახებ შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

- წრის/კლუბის დასახელება;
- მუშაობის პროგრამა;
- მეცადინეობის ხანგრძლივობა;
- შეხვედრების განრიგი.

ინფორმაცია განთავსდება როგორც სკოლა-გიმნაზიის დერეფნებში საინფორმაციო დაფებზე, ასევე სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდზე,

სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს სიმღერა-გალობისა და ქართული ცეკვის წრეები. აგრეთვე, მუშაობს ლიტერატურული კლუბი, კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი „ალგორითმი“. კლუბებს აქვს შემუშავებული წესდება. შედგენილია შეხვედრების განრიგი.

წრეებსა და კლუბში მოსწავლეები საკუთარი სურვილით ერთვებიან. წრეობრივ და კლუბურ მეცადინეობებზე მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების გამოვლენა და შეფასება ხდება გამოკითხვის, საჩვენებელი კონცერტების, გამოფენების, თეატრალური წარმოდგენების, კონკურსებში მონაწილეობის და სხვა საქმიანობების მეშვეობით.

სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად იტვირთება წრეების, კლუბის მუშაობის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

სკოლა-გიმნაზია დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს **ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.** იგი გამომდინარეობს სკოლა-გიმნაზიის მისიიდან და ემსახურება მოსწავლეებისთვის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და მათ ქრისტიანულ ღირებულებებზე აღზრდას.

მოსწავლეთა დამატებითი მომსახურება იწყება სასწავლო წლის დასაწყისიდან. სწავლების ფორმებია: სავალდებულო საგაკვეთილო და გახანგრძლივებული სწავლება.

სკოლა-გიმნაზიაში ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაა:

1. **ძველი ქართული ენა** - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით – V-VI კლასებში კვირაში 1 საათი;
2. **საღვთო სჯული -** დამატებითი სავალდებულო საგნის სახით - II - VI კლასებში - 1საათი;
3. **ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები/მოძღვრის საათი -** დამატებითი სავალდებულო საგნის სახით - I-VI კლასებში - 1 საათი;

დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო საგნების საათების კონკრეტული ოდენობა განსაზღვრულია გსგ-ის საათობრივ ბადეშიც. დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო საგნების მასწავლებლები ინდივიდუალურად საზღვრავენ სასწავლო კურსს, ადგენენ სასწავლო გეგმას. თითოეული დამატებითი საგნისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა. საგნობრივ გეგმებს განიხილავენ კათედრებზე.

დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა მოიცავს:

- საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებულია, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი);
- შეფასების პრინციპებს (ქულა, ჩათვლა);
- საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს.

დამატებით სავალდებულო საგნებზე დასწრება სავალდებულოა კონკრეტული კლასის ყველა მოსწავლისათვის. გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები განსაზღვრულია და აღნიშნულია გსგ-ის შეფასების პრინციპებში.

სკოლა-გიმნაზიის მისიიდან გამომდინარე მოსწავლეებს, პირველი კლასიდანვე, საშუალება აქვთ გიმნაზიის მოძღვართან საუბრის. ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები-მოძღვრის საათი შეტანილია საგაკვეთილო ცხრილში. აღნიშნულ გაკვეთილზე არ წარმოებს მოსწავლეთა შეფასება.

სკოლა-გიმნაზიაში, I – VI კლასების მოსწავლეთათვის, მუშაობს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი, სადაც მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილნი არიან კვებით, დასვენებით, სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობებით და ამზადებენ საშინაო დავალებებს.

დამატებითი მომსახურების ძირითადი მიზანია ბავშვების თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, ჭეშმარიტი ქრისტიანული ზნეობის მქონე, მრავალმხრივ განათლებული და განვითარებული პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა. აგრეთვე, შემოქმედებითი, მხატვრული ინტერესებისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება-დახვეწა, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა-გამომუშავება.

სკოლა-გიმნაზიის დამატებითი მომსახურების გადასინჯვა და საჭიროებისამებრ შესწორება ყოველწლიურად ხდება, ასევე შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწორებაც.

- ✓ **შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე**

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შეფასება არის ხშირი და მრავალმხრივი. ფასდება არა მარტო ინფორმაციის ფლობა, არამედ შეძენილი უნარ-ჩვევები, აზროვნების დემონსტრირების ფორმები და სხვა.

შეფასება ეყრდნობა შემდეგ ძირითადი პრინციპებს:

- **სანდოობა** - როდესაც შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს ან ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;
- **ვალიდურობა** - როდესაც შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
- **ობიექტურობა** - როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე;
- **გამჭვირვალობა** - როდესაც შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

გიმნაზიაში დაწყებით საფეხურზე გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

გიმნაზიაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	**შეფასების დონეები**	**შეფასების დონეების აღწერა**
10 9	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8 7	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
6 5	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

შეფასება დაწყებით საფეხურზე

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების

დინამიკას და ხელსუწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლა-გიმნაზიაში განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება:

- მოკლევადიანი სიტყვიერი და წერილობითი კომენტარი, რაც ეხმარება მოსწავლეს სწავლაში წარმატების მიღწევაში, სირთულეების დაძლევის გზების ჩვენებასა და საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენაში. მოსწავლე ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში;
- შემაჯამებელი წერილობითი კომენტარი - გამოიყენება სემესტრის ბოლოს და წლის ბოლოს;

I-IV კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებელმა უნდა დაწეროს მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის ხელმძღვანელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა 10. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

V-VI კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში: საღვთო სჯულსა და ძველ ქართულ ენაში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

დაწყებით საფეხურზე სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები **განმავითარებელი** შეფასებით ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება;

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. სემესტრის განმავლობაში **განმსაზღვრელი** შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასი),

ბ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასი).

კომპონენტებს თანაბარი წონა აქვს.

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	**V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი**
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება

მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა მრავალფეროვანი დავალებების გამოყენება (მაგ.: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.).

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად თითოეული მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასისთვის შეარჩევს კომპლექსურ დავალებას, რომელსაც სემესტრის განმავლობაში განახორციელებს. მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შექმნან კომპლექსური დავალების პირობა, ან ისარგებლონ კომპლექსური დავალებების ბანკიდან. თუ მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან.

მასწავლებელი აფასებს კომპლექსურ დავალებებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით. წერს განმავითარებელ კომენტარს თითოეული მოსწავლისთვის. კომენტარში აღიწერება მოსწავლეთა მიღწევები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს არ ესმის ინფორმაცია და ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას. ამ დონეზე არაფერია ცნობილი დავალების შესახებ.	1-3
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვ მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ. მას შეუძლია მარტივი და აშკარა კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მასშტაბის მნიშვნელობა არ არის გაგებული	3-4
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს დავალების რამდენიმე ასპექტი,მაგრამ თემის გარშემო იდეებს და ცნებებს არ აქვს კავშირი. მოსწავლეს შეუძლია მთელი რიგი კავშირების დამყარება და კლასიფიკაცია, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ არის გასაგები, შეუძლია გამოყოს მხოლოდ რამდენიმე შესაბამისი დამოუკიდებელი ასპექტი. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს დააკავშიროს შეუსაბამოს, დაახასიათოს	5-6
მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს ნაწილების მნიშვნელობა მთლიან მიმართებში. იდეები და კონცეფციები უკავშირდება ერთმანეთს და ისინი ქმნიან მთლიანობის თანმიმდევრულ გაგებას. ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. შეუძლია თანამიმდევრული ანალიზი, ანალოგის მოყვანა, კითხვების ფორმულირების მტკიცებულებები, ადეკვატურად იგებს დავალებას.	7-8
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია შეასრულოს კავშირები არამარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში, არამედ შეუძლია კავშირი დაამყაროს საკითხის მიღმა. მას შეუძლია განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები კონცეფციები ახალ განსხვავებულ	9-10

კონექსტში. შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები, შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, შექმნა და ასახვა.	

შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენა ხდება ინდივიდუალურად საგნის მასწავლებლის მიერ შერჩეულ დროს, ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით.

ჯგუფური გრაფიკი

პირველი სემესტრი

16 დეკემბერი - ქართული;

16 დეკემბერი - მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები;

17დეკემბერი - უცხო ენები;

18 დეკემბერი - ბუნებისმეტყველება;

19 დეკემბერი - ჩვენი საქართველო;

20 დეკემბერი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა.

მეორე სემესტრი

9 ივნისი - ქართული;

10 ივნისი - მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები;

11 ივნისი - უცხო ენები;

12 ივნისი - ბუნებისმეტყველება;

12 ივნისი - ჩვენი საქართველო;

13 ივნისი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა.

აღდგენითი სამუშაო სავალდებულოა შესრულდეს არა უგვიანეს ერთი კვირისა სემესტრის დასრულებამდე.

გიმნაზია თითოეული საგნისათვის შემაჯამებელი დავალებების საკითხში ხელმძღვანელობს ესგ-ით.

შემაჯამებელი დავალებებით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. შემაჯამებელი დავალებების შეფასების შედეგებს მასწავლებლები ასახავენ გიმნაზიის მიერ შემუშავებულ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველ სპეციალურ ფორმაში.

მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სამიზნე ცნება/ცნებები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ

შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

მობილობის დროს სკოლა-გიმნაზია ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით.

მოსწავლე ვალდებულია, როგორც გამშვებ, ისე მიმღებ სკოლაში, შეასრულოს მის სკოლაში ყოფნის პერიოდში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალების ქულა გამოითვლება შემდეგი წესის მიხედვით: მოსწავლის მიერ გამშვებ სკოლაში ყოფნის პერიოდში ჩატარებულ შემაჯამებელი დავალების ქულას დაემატება მიმღებ სკოლაში მისი გადასვლის შემდეგ ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ქულა და გაიყოფა შემაჯამებელი დავალებების შესაბამის რაოდენობაზე ნაცვლად გეგმით განსაზღვრული რაოდენობისა.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- **საგნის მიმდინარე საკლასო და შემაჯამებელი დავალებების ქულები,** რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
- **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია;
- **საფეხურის ქულა** - საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულის საშუალო ქულა.

ქულების გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტი

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას;
2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად,

დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

გამოცდების ტიპები

გიმნაზიაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის გამოცდა;

➢ **სემესტრული გამოცდა**

- სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს. აღმასრულებელი დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, აღმასრულებელი დირექტორი დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აძლევს წერილობით.
- მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, გამოცდის ჩატარების თარიღი;
- აღმასრულებელი დირექტორისი ნდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდოკომისია (3 წევრი: საგნის ორი მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი ან შესაბამისი კათედრის წევრი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში);
- სკოლა-გიმნაზიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
- გამოცდების ტიპი - წერითი, ზეპირი;
- დგება სემესტრული გამოცდის უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
- სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

➢ **საშემოდგომო გამოცდა**

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5,0-ზე ნაკლები, მოსწავლეს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა იმ კონკრეტულ საგანში;
- საშემოდგომო გამოცდა ტარდება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
- სწავლის დასრულებიდან 2 კვირის შემდგომ - საშემოდგომო გამოცდების ჩასატარებლად გამოიყოფა 3 სამუშაო დღე;
- სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე - საშემოდგომო გამოცდის ჩასატარებლად გამოიყოფა 2 სამუშაო დღე.
- აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია (3 წევრი: საგნის ორი მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი ან შესაბამისი კათედრის წევრი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში);

- საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს ეძლევა არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის;
- საშემოდგომო გამოცდამდე ორი კვირის მანძილზე სკოლა-გიმნაზია გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი;
- კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, კონსულტაციებისა და გამოცდის ჩატარების თარიღი;
- გამოცდების ტიპი-წერითი, ზეპირი;
- დგება საშემოდგომო გამოცდის უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);

➢ **ექსტერნატის გამოცდა**

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესს განსაზღვრავს სკოლა-გიმნაზიის დირექცია. წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცემათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები (მხატვრული/შემეცნებითი ლიტერატურა).
მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება ხდება ესგ-ის მიხედვით.

გაცდენები

- მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში;
- გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხიმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება;

შინ სწავლება

- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;
- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს, მინიმუმ 1 გაკვეთილი შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის კვირაში, გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა;
- შინ სწავლების დროს რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტის) ფორმის გამოყენება.

2) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

საბაზო საფეხურზე სკოლა-გიმნაზიამ უნდა უზრუნველყოს:

ა) საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება;

ბ) მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა და მხარდაჭერა, დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური, გულისხმიერი და შემწყნარებელი მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

✓ **საათობრივი ბადე**

სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას და მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

სკოლა-გიმნაზიის საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სავალდებულო საგნები.

საბაზო საფეხური

	კლასები და სემესტრები	**VII კლასი**		**VIII კლასი**		**IXკლასი**	
	საგანი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფო ენა						
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5	5	5
	მათემატიკა						
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5
	უცხოური ენები						
3	პირველი უცხოური ენა	3	3	3	2	2	2
4	მეორე უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	ისტორია	2	2	2	3	3	3
7	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
8	სამოქალაქო განათლება	2	2	1	1	2	2
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
12	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
13	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
14	ქიმია			2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა						
15	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	1	1	1	1
16	მუსიკა	2	2	1	1	1	1

17	პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში						
	სპორტი						
18	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	1	1	1	1	1	1
	დამატებითი სავალდებულო საგნები						
19	საღვთო სჯული	1	1	1	1	1	1
20	ძველი ქართული ენა	1	1				
21	მოძღვრის საათი	1	1	1	1	1	1
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**33**	**33**	**31**	**31**	**32**	**32**

- ✓ **საგანმანათლებლო რესურსები**

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის. სკოლა-გიმნაზიაში, მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის არსებობს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, პროექტორები, ტელევიზორები (SMART), ჭკვიანი დაფა და სხვა.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლა-გიმნაზიაში შემუშავებულია და ცნობილია პედაგოგიური საზოგადოებისა და მოსწავლეთათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები.

სკოლა-**გიმნაზიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:**

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები (VII-IX კლ.);

ბ)საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები;

გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის ელექტრონული) რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა.);

ე) საბუნებისმეტყველო დარგის ლაბორატორიული აღჭურვილობა;

ვ) მინი ლაბორატორიები;

ზ) კომპიუტერული ლაბორატორია ინტერნეტით;

თ) აუდიო-ვიდეო მოწყობილობები;

ი) აუდიო და ვიდეოთეკა (სასწავლო, შემეცნებითი, მხატვრული, ანიმაციური);

კ) ინტერნეტ რესურსები;

ლ) წიგნადი ფონდი;

საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა

სკოლა-გიმნაზია საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

სკოლა-გიმნაზიაში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან

თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს.

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით - საბაზო საფეხური

მეშვიდე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, დალი ბენაშვილი, მანანა რაზმაძე.	შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი”
მათემატიკა	ნადეჟდა ჯაფარიძე, ნანი წულაია, მაია წილოსანი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ბიოლოგია	მარინა სეხნიაშვილი, ნანა კობახიძე, ლაურა ჯიმშელეიშვილი	შპს გამომცემლობა კლიო, შპს გამომცემლობა მერიდიანი
ფიზიკა	ქეთევან ტატიშვილი	შპს გამომცემლობა დიოგენე
გეოგრაფია	მაია ბლიაძე, დავით კერესელიძე	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ისტორია	ნატო ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე	შპს გამომცემლობა დიოგენე
მოქალაქეობა	ნინო ტალახაძე ლევან მოსახლიშვილი	შპს გამომცემლობა სიდი, შპს სულაკაურის გამომცემლობა
მუსიკა	მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე	შპს წყაროსთვალი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი	შპს გამომცემლობა კლიო
ინგლისური New Building Bridges	ბორკა ლეკაჯ ლუბინა, იასნა პავუნა, დანკა სინგერი, თამარ ჯაფარიძე	შპს სულაკაურის გამომცემლობა
რუსული Русский язык	მარინე ბარსეგოვა	შპს ოცდამეერთე

მერვე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი	შპს ,საგამომცემლო სახლი „სწავლანი“
მათემატიკა	ნადეჟდა ჯაფარიძე, ნანი წულაია, მაია წილოსანი	შპს სულაკაურის გამომცემლობა

ბიოლოგია	ელნარ (ნანა) ზაალიშვილი, თ. ზარდიაშვილი	შპს ტრიასი
გეოგრაფია	მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე, მ. სეხნიაშვილი.	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ისტორია	ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ა. თაბუკაშვილი, ნ. ფირცხალავა.	შპს დიოგენე
მუსიკა	ლ. სულაქველიძე	შპს გაზეთი საქართველოს მაცნე
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი	შპს გამომცემლობა კლიო
ფიზიკა	ქ. ტატიშვილი	შპს დიოგენე
ქიმია	თ. ბუთხუზი, თ. ხატისაშვილი, ს. ფაცაცია, მ. კუჭუხიძე.	შპს გაზეთი საქართველოს მაცნე
ინგლისური New Building Bridges 8	თამარ ჯაფარიძე	შპს სულაკაურის გამომცემლობა
რუსული Русский язык	მარინე ბარსეგოვა	შპს ოცდამეერთე
მოქალაქეობა	მ. მკალავიშვილი, მ. ბოჭორიშვილი, მ. ბაქრაძე, თ. ხატიაშვილი	ა(ა)იპ ეპიგრაფი

მეცხრე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი	შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“
მათემატიკა	ნადეჟდა ჯაფარიძე, ნანი წულაია, მაია წილოსანი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ბიოლოგია	ელნარ (ნანა) ზაალიშვილი, თ. ზარდიაშვილი	შპს ტრიასი
გეოგრაფია	მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე, მ. სეხნიაშვილი.	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ისტორია	ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ა. თაბუკაშვილი, ნ. ფირცხალავა.	შპს დიოგენე
მოქალაქეობა	ნ. ტალახაძე, ნ. კაპანაძე, გ. ერქომაიშვილი, მ. შავაძე, ე. მურუსიძე	შპს გამომცემლობა სიდი-ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი
მუსიკა	მ. ჩიკვაიძე	შპს გამომცემლობა ინტელექტი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი	შპს გამომცემლობა კლიო
ფიზიკა	ქეთევან ტატიშვილი	შპს დიოგენე

ქიმია	თ. ბუთხუზი, თ. ხატისაშვილი, ს. ფაცაცია, მ. კუჭუხიძე.	შპს გაზეთი საქართველოს მაცნე
ინგლისური English 9 Right On 3	თამარ ჯაფარიძე	შპს სულაკაურის გამომცემლობა
რუსული Русский Язык	მარინე ბარსეგოვა, ვალენტინა მნაცაკანოვა	შპს ოცდამეერთე

- ✓ **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება**

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და, შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებით საგანმანათლებლო მომსახურება

სკოლა-გიმნაზია საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გათვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბის სახით. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს ნორჩ მკვლევართა კლუბი **„ქიმიკოსი XXI“.** კლუბს მუშაობისათვის აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ კლუბის სახელწოდება და შესაბამისი ატრიბუტიკა;
- ✓ კლუბის წესდება, მისი დაარსების იდეა და მიზნები;
- ✓ კლუბის სამუშაო გეგმა;
- ✓ განაცხადის ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის;

კლუბის კურატორ-მასწავლებლის მიერ სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდზე სასწავლო წლის განმავლობაში ეტაპობრივად იტვირთება საკლუბო აქტივობების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

სკოლა-გიმნაზია საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ესგ-ით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. იგი გამომდინარეობს სკოლა-გიმნაზიის მისიიდან და ემსახურება მოსწავლეებში კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღზრდას. ამ სახის მომსახურებაში შედის:

1. **ძველი ქართული ენა** - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით – VII კლასში კვირაში 1 საათი;
2. **საღვთო სჯული -** დამატებითი სავალდებულო საგნის სახით VII - IX კლასებში - 1საათი.
3. **ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები/მოძღვრის საათი -** დამატებითი სავალდებულო საგნის სახით - VII - IX კლასებში - 1საათი;

დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო საგნების საათების კონკრეტული ოდენობა განსაზღვრულია გსგ-ის საათობრივ ბადეშიც. დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო საგნების მასწავლებლები ინდივიდუალურად საზღვრავენ სასწავლო კურსს, ადგენენ სასწავლო გეგმას. თითოეული დამატებითი საგნისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა. საგნობრივ გეგმებს განიხილავენ კათედრებზე.

დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა მოიცავს:

- საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებულია, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი);
- შეფასების პრინციპებს (ქულა, ჩათვლა);
- საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს.

დამატებით სავალდებულო საგნებზე დასწრება სავალდებულოა კონკრეტული კლასის ყველა მოსწავლისათვის. სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები განსაზღვრულია და აღნიშნულია გსგ-ის შეფასების პრინციპებში.

სკოლა-გიმნაზიის მისიიდან გამომდინარე მოსწავლეებს საგაკვეთილო ფორმატში საშუალება აქვთ სკოლა-გიმნაზიის მოძღვართან საუბრის. ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები-მოძღვრის საათი შეტანილია სასკოლო ცხრილში. აღნიშნულ გაკვეთილზე არ წარმოებს მოსწავლეთა შეფასება.

- ✓ **შეფასების სისტემა**

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის იდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანებია:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

შეფასება ეყრდნობა შემდეგ ძირითადი პრინციპებს:

- **სანდოობა** - როდესაც შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს ან ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;
- **ვალიდურობა** - როდესაც შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
- **ობიექტურობა** - როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე;
- **გამჭვირვალობა** - როდესაც შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

სკოლა-გიმნაზიაში საბაზო საფეხურზე გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი** და **განმავითარებელი.**

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში;
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. **მოსწავლე:** თვითშეფასებით, ურთიერთშეფასებით.	**მასწავლებელი: ქულა** (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით)

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.

ქულები	**შეფასების დონეები**	**შეფასების დონეების აღწერა**
10 9	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8 7	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
6 5	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

შეფასება საბაზო საფეხურზე

VII-IX კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

VII-IX კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, დამატებით სავალდებულო საგნებში: ძველი ქართული ენა, ,,საღვთო სჯული" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები შეფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელი სემესტრის განმავლობაში იყენებს განმავითარებელ შეფასებას ნებისმიერ კომპონენტში. საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან სამივე კომპონენტში. **შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვთ.** გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა მრავალფეროვანი დავალებების გამოყენება (მაგ.: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.)

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად თითოეული მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასისთვის შეარჩევს კომპლექსურ დავალებას, რომელსაც სემესტრის განმავლობაში განახორციელებს. მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შექმნან კომპლექსური დავალების პირობა, ან ისარგებლონ კომპლექსური დავალებების ბანკიდან. თუ მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან.

მასწავლებელი აფასებს კომპლექსურ დავალებებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით. წერს განმავითარებელ კომენტარს თითოეული მოსწავლისთვის. კომენტარში აღიწერება მოსწავლეთა მიღწევები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს არ ესმის ინფორმაცია და ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას. ამ დონეზე არაფერია ცნობილი დავალების შესახებ.	1-3
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვ მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ. მასშეუძლია მარტივი და აშკარა კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მასშტაბის მნიშვნელობა არ არის გაგებული	3-4
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს დავალების რამდენიმე ასპექტი, მაგრამ თემის გარშემო იდეებს და ცნებებს არ აქვს კავშირი. მოსწავლეს შეუძლია მთელი რიგი	5-6

კავშირების დამყარება და კლასიფიკაცია, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ არის გასაგები, შეუძლია გამოყოს მხოლოდ რამდენიმე შესაბამისი დამოუკიდებელი ასპექტი. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს დააკავშიროს შეუსაბამოს, დაახასიათოს	
მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს ნაწილების მნიშვნელობა მთლიან მიმართებში. იდეები და კონცეფციები უკავშირდება ერთმანეთს და ისინი ქმნიან მთლიანობის თანმიმდევრულ გაგებას. ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. შეუძლია თანამიმდევრული ანალიზი, ანალოგის მოყვანა, კითხვების ფორმულირების მტკიცებულებები ადეკვატურად იგებს დავალებას.	7-8
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია შასრულოს კავშირები არამარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში, არამედ შეუძლია კავსირი დაამყაროს საკითხის მიღმა მას შეუძლია განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები კონცეფციები ახალ განსხვავებულ კონექსტში. შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები, შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, შქმნა და ასახვა.	9-10

შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით; გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენა ხდება ინდივიდუალურად საგნის მასწავლებლის მიერ შერჩეულ დროს, ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით.

ჯგუფური გრაფიკი

პირველი სემესტრი

16 დეკემბერი - ქართული;

16 დეკემბერი - მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები;

17დეკემბერი - უცხო ენები;

18 დეკემბერი - ბუნებისმეტყველება;

19 დეკემბერი - ჩვენი საქართველო;

20 დეკემბერი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა.

მეორე სემესტრი

9 ივნისი - ქართული;

10 ივნისი - მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები;

11 ივნისი - უცხო ენები;

12 ივნისი - ბუნებისმეტყველება;

12 ივნისი - ჩვენი საქართველო;

13 ივნისი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი.

აღდგენითი სამუშაო სავალდებულოა შესრულდეს არა უგვიანეს ერთი კვირისა სემესტრის დასრულებამდე.

სკოლა-გიმნაზია თითოეული საგნისათვის შემაჯამებელი დავალებების საკითხში ხელმძღვანელობს ესგ-ით.

შემაჯამებელი დავალებებით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. შემაჯამებელი დავალებების შეფასების შედეგებს მასწავლებლები ასახავენ სკოლა-გიმნაზიის მიერ შემუშავებულ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველ სპეციალურ ფორმაში.

მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სამიზნე ცნება/ცნებები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

მობილობის დროს სკოლა-გიმნაზია ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით.

მოსწავლე ვალდებულია, როგორც გამშვებ, ისე მიმღებ სკოლაში, შეასრულოს მის სკოლაში ყოფნის პერიოდში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალების ქულა გამოითვლება შემდეგი წესის მიხედვით: მოსწავლის მიერ გამშვებ სკოლაში ყოფნის პერიოდში ჩატარებულ შემაჯამებელი დავალების ქულას დაემატება მიმღებ სკოლაში მისი გადასვლის შემდეგ ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ქულა და გაიყოფა შემაჯამებელი დავალებების შესაბამის რაოდენობაზე ნაცვლად გეგმით განსაზღვრული რაოდენობისა.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) **საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები,** რომელსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) **საგნის სემესტრული ქულა** –საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში ;

გ) **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში.

დ) **საფეხურის ქულა** – საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულის საშუალო ქულა.

ქულის გამოანგარიშების წესი

- **საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:**

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

- **საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:**
  ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;
  ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.
- **საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:**
  ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;
  ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.;
2. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5,0 ან მეტი და ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება;

გამოცდის ტიპები

სკოლა-გიმნაზიაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **სემესტრული გამოცდა;**
- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**

➢ **სემესტრული გამოცდა**

- სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს. აღმასრულებელი დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, აღმასრულებელი დირექტორი დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აძლევს წერილობით.
- მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, გამოცდის ჩატარების თარიღი;
- აღმასრულებელი დირექტორისი ნდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია (3 წევრი: საგნის ორი მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი ან შესაბამისი კათედრის წევრი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში);
- სკოლა-გიმნაზიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
- გამოცდების ტიპი -წერითი, ზეპირი;
- დგება სემესტრული გამოცდის უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

- სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

➢ **საშემოდგომო გამოცდა**

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5,0-ზე ნაკლები, მოსწავლეს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა იმ კონკრეტულ საგანში;
- საშემოდგომო გამოცდა ტარდება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
- სწავლის დასრულებიდან 2 კვირის შემდგომ - საშემოდგომო გამოცდების ჩასატარებლად გამოიყოფა 3 სამუშაო დღე;
- სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე - საშემოდგომო გამოცდის ჩასატარებლად გამოიყოფა 2 სამუშაო დღე.
- აღმასრულებელი დირექტორის ნდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია (3 წევრი: საგნის ორი მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი ან შესაბამისი კათედრის წევრი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში);
- საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს ეძლევა არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის;
- საშემოდგომო გამოცდამდე ორიკვირის მანძილზე გიმნაზია გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი;
- კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, კონსულტაციებისა და გამოცდის ჩატარების თარიღი;
- გამოცდების ტიპი-წერითი, ზეპირი**;**
- დგება საშემოდგომო გამოცდის უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);

➢ **ექსტერნატის გამოცდა**

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესს განსაზღვრავს გიმნაზიის დირექცია. წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცემათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები (მხატვრული ან შემეცნებითი ლიტერატურა).

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება ხდება ესგ-ის მიხედვით.

გაცდენები

- მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში;
- გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხიმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება;
- თუ საბაზო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე;

- კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა;
- იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლა-გიმნაზიის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლა-გიმნაზიის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

შინ სწავლება

- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;
- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს, მინიმუმ 1 გაკვეთილი შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის კვირაში, გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა;
- შინ სწავლების დროს რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტის) ფორმის გამოყენება.

3) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

საშუალო საფეხურზე სკოლა-გიმნაზიამ უნდა უზრუნველყოს:

ა) საგანთა სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინტელექტუალურად განვითარებული, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების, ცოდნისა და შესაძლებლობების გამოყენება პირადი და ეროვნული მიზნებისათვის.

✓ **საათობრივი ბადე**

სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას და მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

სკოლა-გიმნაზიის საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სავალდებულო საგნები.

საშუალო საფეხური

	კლასები და სემესტრები	**X კლასი**		**XI კლასი**		**XII კლასი**	
	საგანი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფო ენა						
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5	5	5

	მათემატიკა						
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5
	უცხოური ენები						
3	პირველი უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
4	მეორე უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	ისტორია	2	2	2	2	2	2
6	საქართველოს ისტორია	2	2	2	2	2	2
7	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
8	მოქალაქეობა	2	2	2	2	2	2
9	პროექტი სამოქალაქო განათლებაში	1	1	1	1	1	0
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
11	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
12	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
13	ქიმია	2	2	2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა						
14	პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში	1	1				
15	პროექტი მუსიკაში			1	1		
	სპორტი						
16	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	1	1	1	1	1	1
	არჩევითი საგნები						
17	მეწარმეობის საფუძვლები	1	1				
18	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება			1	1		
	დამატებითი სავალდებულო საგნები						
19	საღვთო სჯული	1	1	1	1	1	1
20	მოძღვრის საათი	1	1	1	1	1	1

	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**34**	**34**	**34**	**34**	**32**	**31**

✓ **საგანმანათლებლო რესურსები**

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის. სკოლა-გიმნაზიაში, მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის არსებობს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, პროექტორები, ტელევიზორები (SMART), ჭკვიანი დაფა) და სხვა) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლა-გიმნაზიაში შემუშავებულია და ცნობილია პედაგოგიური საზოგადოებისა და მოსწავლეთათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები.

სკოლა-გიმნაზიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები (X - XIIკლ.);

ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები;

გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის ელექტრონული) რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა.);

ე) საბუნებისმეტყველო დარგის ლაბორატორიული აღჭურვილობა;

ვ) მინი ლაბორატორიები;

ზ) კომპიუტერული ლაბორატორია ინტერნეტით;

თ) აუდიო-ვიდეო მოწყობილობები;

ი) აუდიო და ვიდეოთეკა (სასწავლო, შემეცნებითი, მხატვრული, ანიმაციური);

კ) ინტერნეტ რესურსები;

ლ) წიგნადი ფონდი;

საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა

სკოლა-გიმნაზია საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

სკოლა-გიმნაზიაში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს.

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით - საშუალო საფეხური

მეათე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	მანანა გიგინეიშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი, ვახტანგ როდონაია, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, ნინო ნაკუდაშვილი	შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“

მათემატიკა	თინა ბექაური, ავთანდილ საგინაშვილი	ავთანდილ საგინაშვილი
ბიოლოგია	ელნარ (ნანა) ზაალიშვილი, თინათინ ზარდიაშვილი	შპს ტრიასი
გეოგრაფია	მაია ბლიაძე, მანანა სეხნიაშვილი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ისტორია	ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ა. თაბუკაშვილი, ნ. ფირცხალავა.	შპს დიოგენე
საქართველოს ისტორია	ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ა. თაბუკაშვილი, ნ. ფირცხალავა.	შპს დიოგენე
მოქალაქეობა	სოფიო ბაჩილავა, დავით ლოსაბერიძე,	შპს დიოგენე
ფიზიკა	ქეთევან ტატიშვილი	შპს დიოგენე
ქიმია	თინათინ ბუთხუზი, თამარ ხატისაშვილი, სოფიკო ფაცაცია, მარინე კუჭუხიძე	შპს გაზეთი საქართველოს მაცნე
ინგლისური Tune Up 2	თამარ ჯაფარიძე	შპს სულაკაურის გამომცემლობა
რუსული Русский язык - ს VI	მარინე ბარსეგოვა, ვალენტინა მნაცაკანოვა	შპს ოცდამეერთე
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი	შპს გამომცემლობა კლიო

მეთერთმეტე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, ლალი დათაშვილი	შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“
მათემატიკა	გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი	შპს გამომცემლობა ინტელექტი
ბიოლოგია	ელნარ (ნანა) ზაალიშვილი., თინათინ ზარდიაშვილი	შპს ტრიასი
გეოგრაფია	მაია ბლიაძე, მანანა სეხნიაშვილი	შპს სულაკაურის გამომცემლობა
ისტორია	ნატო ახმეტელი, აკაკი სადუნიშვილი, ომიკო ეჯიბია, თეა გოგოლიშვილი, დავით ჩივაძე, ნოდარ ჩხაიძე, ნათია ფირცხალავა	შპს დიოგენე
საქართველოს ისტორია	ნატო ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, აკაკი სადუნიშვილი, ნიკოლოზ მურღულია, დავით ჩივაძე, ოთარ ჯანელიძე	შპს დიოგენე

სამოქალაქო განათლება	სოფიო ბაჩილავა, დავით ლოსაბერიძე, ირინა ჯვარშეიშვილი, ქრისტინე ღონღაძე	შპს დიოგენე
ფიზიკა	ქეთევან ტატიშვილი, ქეთევან სადრაძე, გიორგი ჭანტურია, ნინო აბესაძე	შპს დიოგენე
ქიმია	თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია, მარინე კუჭუხიძე, თამარ ხატისაშვილი, ლაშა ხუციშვილი	შპს გაზეთი საქართველოს მაცნე
ინგლისური Tune Up 3	თამარ ჯაფარიძე	შპს სულაკაურის გამომცემლობა
რუსული Русский язык - ს VII	მ. ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე	შპს გამომცემლობა არტანუჯი

მეთორმეტე კლასი

საგანი	სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ი	გამომცემლობა
ქართული ენა და ლიტერატურა	ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, ლალი დათაშვილი	შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“
მათემატიკა	გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია და ლამარა ქურჩიშვილი	შპს გამომცემლობა ინტელექტი
ისტორია საქართველოს ისტორია	ლალი ფირცხალავა, გიორგი სანიკიძე, ლევან გორდეზიანი, ნანა ციხისთავი, გიორგი კიკნაძე,რევაზ გაჩეჩილაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ნოდარ ასათიანი, ცირა ჩიკვაიძე, ფარნაოზ ლომაშვილი, როინ მეტრეველი, ზვიად მიმინოშვილი, გიორგი ოთხმეზური, ნინო კიღურაძე	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი
გეოგრაფია	მაია ბლიაძე, მანანა სეხნიაშვილი	შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ინგლისური Activate B1+	ჯონა ტეილორ-ნოველს, კაროლინ ბარაკლო, ელეინ ბოიოლი, სუზან გეინორი, კლერ უოლში, ჯილ ფლორენტ მეგან როდერიკი	პირსონი
რუსული / Русский язык ს VIII	მ.ლორთქიფანიძე, ი.ჩხეიძე, თ.ჩიმაკაძე	შპს გამომცემლობა არტანუჯი
ფიზიკა	ე. გედენიძე, გ. ლაზარაშვილი	შპს გამომცემლობა ინტელექტი
ქიმია	თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია, მარინე კუჭუხიძე, თამარ ხატისაშვილი	შპს საქართველოს მაცნე

- ✓ **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება**

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და, შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

სკოლა-გიმნაზია საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს **ესგ-ით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას** კლუბის სახით. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს: ნორჩ მკვლევართა კლუბი ,,ქიმიკოსი XXI"; . კლუბს მუშაობისათვის აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ კლუბის სახელწოდება და შესაბამისი ატრიბუტიკა;
- ✓ კლუბის წესდება, მისი დაარსების იდეა და მიზნები;
- ✓ კლუბის სამუშაო გეგმა;
- ✓ განაცხადის ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის;

კლუბის კურატორ-მასწავლებლის მიერ სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდზე სასწავლო წლის განმავლობაში ეტაპობრივად იტვირთება საკლუბო აქტივობების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

სკოლა-გიმნაზია საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ესგ **გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.** იგი გამომდინარეობს სკოლა-გიმნაზიის მისიიდან და ემსახურება მოსწავლეებში კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და მათ ქრისტიანულ ღირებულებებზე აღზრდას. სკოლა-გიმნაზიაში ესგ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაა:

1. **საღვთო სჯული** - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით X - XII კლასებში - 1საათი.
2. **ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები/მოძღვრის საათი** - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით - X-XII კლასებში - 1საათი;

დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო საგნების საათების კონკრეტული ოდენობა განსაზღვრულია სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეშიც. დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო საგნების მასწავლებლები ინდივიდუალურად საზღვრავენ სასწავლო კურსს, ადგენენ სასწავლო გეგმას. თითოეული დამატებითი საგნისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა. საგნობრივ გეგმებს განიხილავენ კათედრებზე, წარედგინება აღმასრულებელ დირექტორს, რომელიც ამტკიცებს მათ.

დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა მოიცავს:

- საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებულია, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი);
- შეფასების პრინციპებს (ქულა, ჩათვლა);
- საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს.

დამატებით სავალდებულო საგნებზე დასწრება სავალდებულოა კონკრეტული კლასის ყველა მოსწავლისათვის. სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები განსაზღვრულია და აღნიშნულია სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმის შეფასების პრინციპებში.

სკოლა-გიმნაზიის მისიიდან გამომდინარე მოსწავლეებს საგაკვეთილო ფორმატში საშუალება აქვთ სკოლა-გიმნაზიის მოძღვართან საუბრის. ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები-მოძღვრის

საათი შეტანილია სასკოლო ცხრილში. აღნიშნულ გაკვეთილზე არ წარმოებს მოსწავლეთა შეფასება.

- ✓ **შეფასების სისტემა**

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის იდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანებია:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

შეფასება ეყრდნობა შემდეგ ძირითადი პრინციპებს:

- **სანდოობა** - როდესაც შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს ან ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;
- **ვალიდურობა** - როდესაც შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
- **ობიექტურობა** - როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე;
- **გამჭვირვალობა** - როდესაც შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

სკოლა-გიმნაზიაში საშუალო საფეხურზე გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი** და **განმავითარებელი.**

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**

მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში;
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. **მოსწავლე:** თვითშეფასებით, ურთიერთშეფასებით.	**მასწავლებელი: ქულა** (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით,ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით)

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით;

ქულები	**შეფასების დონეები**	**შეფასების დონეების აღწერა**
10 9	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8 7	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
6 5	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

შეფასება საშუალო საფეხურზე

X-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით

გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

X-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლი გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში: ფიზიკური აღზრდა და სპორტი, საღვთო სჯული, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, მეწარმეობის საფუძვლები მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

საშუალო საფეხურზე პროექტებში - სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობით და/ან ზეპირი ფორმით).

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები შეიძლება შეფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელი სემესტრის განმავლობაში იყენებს განმავითარებელ შეფასებას ნებისმიერ კომპონენტში. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (X - XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (X -XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (X- XII კლასები).

შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვთ.

X-XII კლასებში საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა მრავალფეროვანი დავალებების გამოყენება (მაგ.: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.)

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად თითოეული მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასისთვის შეარჩევს კომპლექსურ დავალებას, რომელსაც სემესტრის განმავლობაში განახორციელებს. მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შექმნან კომპლექსური დავალების პირობა, ან ისარგებლონ კომპლექსური დავალებების ბანკიდან. თუკი მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან.

მასწავლებელი აფასებს კომპლექსურ დავალებებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით. წერს განმავითარებელ კომენტარს თითოეული მოსწავლისთვის. კომენტარში აღიწერება მოსწავლეთა მიღწევები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს არ ესმის ინფორმაცია და ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას. ამ დონეზე არაფერია ცნობილი დავალების შესახებ.	1-3
უნისტრუქტურული დონე	3-4

მოსწავლეს აქვ მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ. მასშეუძლია მარტივი და აშკარა კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მასშტაბის მნიშვნელობა არ არის გაგებული	
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს დავალების რამდენიმე ასპექტი, მაგრამ თემის გარშემო იდეებს და ცნებებს არ აქვს კავშირი. მოსწავლეს შეუძლია მთელი რიგი კავშირების დამყარება და კლასიფიკაცია, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ არის გასაგები, შეუძლია გამოყოს მხოლოდ რამდენიმე შესაბამისი დამოუკიდებელი ასპექტი. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს დააკავშიროს შეუსაბამოს, დაახასიათოს	5-6
მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს ნაწილების მნიშვნელობა მთლიან მიმართებში. იდეები და კონცეფციები უკავშირდება ერთმანეთს და ისინი ქმნიან მთლიანობის თანმიმდევრულ გაგებას. ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. შეუძლია თანამიმდევრული ანალიზი, ანალოგის მოყვანა, კითხვების ფორმულირების მტკიცებულებები ადეკვატურად იგებს დავალებას.	7-8
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია შასრულოს კავშირები არამარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში, არამედ შეუძლია კავსირი დაამყაროს საკითხის მიღმა მას შეუძლია განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები კონცეფციები ახალ განსხვავებულ კონექსტში. შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები, შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, შქმნა და ასახვა.	9-10

შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენა ხდება ინდივიდუალურად საგნის მასწავლებლის მიერ შერჩეულ დროს, ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით.

ჯგუფური გრაფიკი:

პირველი სემესტრი

16 დეკემბერი - ქართული;
16 დეკემბერი - მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები;
17დეკემბერი - უცხო ენები;
18 დეკემბერი - ბუნებისმეტყველება;
19 დეკემბერი - ჩვენი საქართველო;
20 დეკემბერი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა.

მეორე სემესტრი

9 ივნისი - ქართული;

10 ივნისი - მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები;

11 ივნისი - უცხო ენები;

12 ივნისი - ბუნებისმეტყველება;

12 ივნისი - ჩვენი საქართველო;

13 ივნისი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი.

აღდგენითი სამუშაო სავალდებულოა შესრულდეს არა უგვიანეს ერთი კვირისა სემესტრის დასრულებამდე.

სკოლა-გიმნაზია თითოეული საგნისათვის შემაჯამებელი დავალებების საკითხში ხელმძღვანელობს ესგ-ით.

შემაჯამებელი დავალებებით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. შემაჯამებელი დავალებების შეფასების შედეგებს მასწავლებლები ასახავენ სკოლა-გიმნაზიის მიერ შემუშავებულ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველ სპეციალურ ფორმაში.

მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სამიზნე ცნება/ცნებები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

მობილობის დროს სკოლა-გიმნაზია ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით.

მოსწავლე ვალდებულია, როგორც გამშვებ, ისე მიმღებ სკოლაში, შეასრულოს მის სკოლაში ყოფნის პერიოდში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალების ქულა გამოითვლება შემდეგი წესის მიხედვით: მოსწავლის მიერ გამშვებ სკოლაში ყოფნის პერიოდში ჩატარებულ შემაჯამებელი დავალების ქულას დაემატება მიმღებ სკოლაში მისი გადასვლის შემდეგ ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ქულა და გაიყოფა შემაჯამებელი დავალებების შესაბამის რაოდენობაზე ნაცვლად გეგმით განსაზღვრული რაოდენობისა.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) **საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები,** რომელსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) **საგნის სემესტრული ქულა** –საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;

გ) **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში.

დ) **საფეხურის ქულა** – საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულის საშუალო ქულა.

ქულის გამოანგარიშების წესი

- **საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:**

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

- **საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:**

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

- **საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:**

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

კლასისა და საფეხურის დაძლევა

- კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას;
- საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5,0 ან მეტი და ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საშუალო განათლების ატესტატის აღების უფლება;

გამოცდის ტიპები

სკოლა-გიმნაზიაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **სემესტრული გამოცდა;**
- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**

✓ **სემესტრული გამოცდა**

- სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს. აღმასრულებელი დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, აღმასრულებელი დირექტორი დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აძლევს წერილობით.
- მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, გამოცდის ჩატარების თარიღი;
- აღმასრულებელი დირექტორისი ნდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია (3 წევრი: საგნის ორი მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი

ან შესაბამისი კათედრის წევრი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში);

- სკოლა-გიმნაზიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
- გამოცდების ტიპი -წერითი, ზეპირი;
- დგება სემესტრული გამოცდის უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
- სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

✓ **საშემოდგომო გამოცდა**

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5,0-ზე ნაკლები, მოსწავლეს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა იმ კონკრეტულ საგანში;
- საშემოდგომო გამოცდა ტარდება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
- სწავლის დასრულებიდან 2 კვირის შემდგომ - საშემოდგომო გამოცდების ჩასატარებლად გამოიყოფა 3 სამუშაო დღე;
- სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე - საშემოდგომო გამოცდის ჩასატარებლად გამოიყოფა 2 სამუშაო დღე.
- აღმასრულებელი დირექტორის ნდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია (3 წევრი: საგნის ორი მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი ან შესაბამისი კათედრის წევრი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში);
- საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს ეძლევა არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის;
- საშემოდგომო გამოცდამდე ორი კვირის მანძილზე გიმნაზია გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი;
- დამრიგებელი ვალდებულია აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, კონსულტაციებისა და გამოცდის ჩატარების თარიღი;
- გამოცდების ტიპი-წერითი, ზეპირი;
- დგება საშემოდგომო გამოცდის უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);

✓ **ექსტერნატის გამოცდა**

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესს განსაზღვრავს სკოლა-გიმნაზიის დირექცია. წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცემათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები (მხატვრული ან შემეცნებითი ლიტერატურა).

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება ხდება ესგ-ის მიხედვით.

გაცდენები

- მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში;
- გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხიმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება;
- თუ საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე;
- კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა;
- იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლა-გიმნაზიის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლა-გიმნაზიის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

შინ სწავლება

- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;
- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს, მინიმუმ 1 გაკვეთილი შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის კვირაში, გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა;
- შინ სწავლების დროს რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტის) ფორმის გამოყენება.

III. არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლება არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამის ნაწილი. ის ეროვნული სასწავლო გეგმის მიღმა არსებული განათლებაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უჩნდებათ მოტივაცია იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

არაფორმალური განათლება იძლევა არა მხოლოდ ცოდნას არამედ ისეთ უნარებს, რაც ცხოვრების გზაზე მრავალმხრივ მნიშვნელოვანია (მაგალითად: კომუნიკაციის, გუნდურობის, შემოქმედებითი აზროვნების უნარები და სხვა). აღნიშნული უნარები ხელს უწყობს ადამიანის საზოგადოებაში წარმატებით ინტეგრირებას და მის რეალიზაციას. მოსწავლეთა არაფორმალური განათლება აფასებს არასავალდებულო სასწავლო კურიკულუმის ცოდნას და შინაგან მოტივაციაზე დაფუძნებით ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრებისეულ ღირებულებებსა და უნარებს ავითარებს. ხშირ შემთხვევაში არაფორმალური განათლება ხელს უწყობს ფორმალურ სასწავლო დაწესებულებაში, შედეგების გაუმჯობესებასაც, ავითარებს რა ისეთ უნარებს, რაც

ფორმალური საგანმანათლებლო სისტემისათვის მნიშვნელოვანია და მოსწრებას ეხმარება. საკომუნიკაციო უნარები, შიდა მოტივატორების აღმოჩენა და მოტივაციის გაუმჯობესება, სხარტი აზროვნება, თვითორგანიზება, გუნდური მუშაობა და ბევრი სხვა მსგავსი უნარი წარმოადგენს დამხმარე საშუალებებს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში მოზარდის უკეთ ინტეგრაციისათვის. გარდა ამისა, არაფორმალური განათლების ამოცანაა მოსწავლისთვის ისეთი ცოდნის მიწოდება, რისი მიწოდებაც ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში ვერ ხერხდება, ან ვერ ხორციელდება იმ მოცულობით, რაც მოსწავლეს წაადგება.

2024–2025 სასწავლო წელს არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად სკოლა-გიმნაზიაში იმუშავებს შემდეგი კლუბები და წრეები:

- სიმღერისა და გალობის წრე
- ქართული ცეკვის წრე
- ნორჩ მკვლევართა კლუბი „ქიმიკოსი XXI“
- კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი „ალგორითმი“

სკოლა-გიმნაზიაში 2024-2025 სასწავლო წელს დაგეგმილია ჩატარდეს: ყოველწლიური საშობაო ფესტივალი გენეთლია, საქველმოქმედო პროექტები, შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებები, საკლასო და საგიმნაზიო სასწავლო კონფერენციები, სასწავლო-საგანმანათლებლო ექსკურსიები, მოგზაურობები, ლაშქრობები და სხვა.